

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი



სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი:

ია ბარქაია

სამაგისტრო ნაშრომი, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად,
თემაზე:

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორის აღრევა
ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გიორგი რუსიაშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

თბილისი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი.....	1
1. ვალდებულების ცნება.....	2
1.1 ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები.....	4
1.2 ვალდებულების შესრულება.....	9
1.3 ვალდებულების დარღვევა.....	11
1.4 შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას.....	12
1.5 ხელშეკრულებაზე უარის თქმა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ხელშერულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო.....	15
1.6 შეტყობინება და დამატებითი ვადის დაწესება ხელშეკრულების დარღვევისას.....	18
2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა.....	19
2.1 კრედიტორის ბრალით გამოწვეული შეუძლებლობა.....	21
2.2 ორმხრივი ბრალით გამოწვეული შეუძლებლობა.....	24
2.3 შესრულების შეუძლებლობა ქართულ სამართალში.....	26
2.4 შესრულების შეუძლებლობა გერმანულ სამართალში.....	29
3. ფორს მაჟორი	33
3.1 Force Majeure ფრანგულ სამართალში.....	35
3.2 ფორს მაჟორისა და ბრალის არარსებობის გამოიჯვნა.....	36

4. შესრულების შეუძლებლობა და ფორს მაჟორი (ქართულ და უცხოურ სამართალში).....37

4.1 შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორის გამიჯვნა სასამართლო პრაქტიკაში.....39

5. დასკვნა45

ბიბლიოგრაფია.....49

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მოახდინოს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა და ფორს-მაჟორის აღრევის გამოიჯვნა. ჩემი დაინტერესება ამ თემით, გამოწვეულია იმ სირთულეებიდან გამომდინარე, რომლებიც გამოვლინდა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, ზემოაღნიშნული ორი ინსტიტუტის თაობაზე, სამოქალაქო საქმეთა განხილვისას. როგორც ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილებები, ასევე, მოცემულ საკითხებთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა გამოკვეთს იმ სირთულეებს რაც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორის გამოიჯვნისას იჩენს თავს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვეცდები ქართული, გერმანული და ფრანგული სამოქალაქო სამართლის ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების მეშვეობით, მკითხველისთვის ნათელი გახდეს ის განსხვავებები, რაც მოცემულ საკითხებზე დავების გადაწყვეტისას გვხვდება.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ქართული სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამუშავებულ საკითხს წარმოადგენს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, პრობლემა შესაძლოა მდგომარეობდეს საკითხის არასწორად აღქმაში. აღნიშნული ხარვეზის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემქმნელ კომისიას, შესაბამისი დანაწესი გამორჩა ან, დაუდგენელი მიზეზების გამო, გამოტოვა ვალდებულებით სამართალში, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმის დანაწესის გარშემო იყო კონსტრუირებული მთლიანი ვალდებულების დარღვევის სამართალი და 2002 წლის ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდეგაც, დარჩა ვალდებულების დარღვევის სამართლის მნიშვნელოვან დანაწესად. ვალდებულების დარღვევის სამართლის მთლიანი სისტემის თავდაყირა დაყენების საფრთხეს ქმნის მოცემული სამართლებრივი ფიგურის ვერ ან არასწორად გაგება, რის მაგალითსაც წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოში გაუგებარია, თავდაპირველ ვალდებულებაზე შესრულების შეუძლებლობის ასახვა, გარდა ამისა, მოცემული საკითხისადმი მიძღვნილ თეორიულ ნაშრომებში ხშირია შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორის გვერდიგვერდ ხსენების ან საერთოდ გაიგივების მაგალითები, რაც სრულებით გაუმართლებელია. სასამართლო პრაქტიკა ავითარებს საკმაოდ

გაუმართავ მსჯელობას, იმის წარმოდგენის გარეშე, თუ რას იწვევს შეუძლებლობა, მაგრამ აღნიშნულ პრობლემაში უფრო მეტად არის დამნაშავე სამართლის მეცნიერება, რომელმაც ორი ათწლეულის განმავლობაში ვერ მოახერხა შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი ფიგურის კონტურების გამოკვეთა.

განსახილველი თემის ფარგლებში შევეცდებით დეტალურად გავიაროთ ისეთი საკითხები, როგორცაა: ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან, კრედიტორის ბრალი ვალდებულების შეუსრულებლობისას, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებები, ფორს მაჟორისა და ბრალის არარსებობის გამიჯვნა, ასევე მიმოვიხილავთ ფორს მაჟორისა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ცნებათა აღრევის პრობლემატიკას ქართულ სამართალში და შევისწავლით თუ როგორ არის მოწესრიგებული აღნიშნული საკითხი გერმანულ და ფრანგულ სამართალში.

1. ვალდებულების ცნება

სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულება არის განსაზღვრული სამართალურთიერთობა, რომლის ძალითაც, მოვალე ვალდებულია, კრედიტორის სასარგებლოდ შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გადაიხადოს ვალი და ა.შ.), ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან, კრედიტორს კი უფლება აქვს, მოითხოვოს მოვალისგან ვალდებულების შესრულება.¹ აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვალდებულების შინაარსში მოიაზრება, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, კერძოდ, კრედიტორის მიერ მოვალისგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება და ასევე, მოვალის ვალდებულება შეასრულოს ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების შესრულებისგან. ამასთან ერთად, როგორც კრედიტორს, ასევე მოვალეს შეიძლება ეკისრებოდეს, ერთმანეთის ქონებისა და ინტერესებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება, კონკრეტული ურთიერთობის ხასიათიდან

¹ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ., გვ. 14

გამომდინარე, რაც ამ სიკეთეთა ორგანული სიმრთელის დაცვას გულისხმობს.² ტერმინი „ვალდებულება“ სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება მეცნიერებასა და პრაქტიკაში. მართალია ის უპირველესად აღნიშნავს განსაზღვრულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, „მაგრამ ზოგჯერ გულისხმობს მოვალის ვალდებულებას (ვალს) ან დოკუმენტს, რომელშიც ფიქსირებულია ასეთი ვალდებულება (ხელწერილი, ქვითარი და სხვ.)“.³

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის ცნების თაობაზე კითხვას, პასუხს სცემს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ჩვენს გერმანელ კოლეგებს იმაში, რომ ეს ნორმა „არ არის სწორად მოთავსებული ვალდებულებითი სამართლის დასაწყისში“⁴ რადგან ვალდებულებითი სამართლის ნორმების გარდა მოთხოვნის საფუძველებს სანივთო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებიც შეიცავენ. არასრულყოფილია, ვალდებულების შესრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის დეფინიცია, რადგანაც ის მხოლოდ კრედიტორის უფლებასა და მოვალის ვალდებულებაზე მიანიშნებს, ხოლო ვალდებულების უფრო რთული სამართლებრივი კონსტრუქციები, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება მასში არ არის გათვალისწინებული.

ვინაიდან ვალდებულებითი სამართალი არის ყველაზე ახლოს მყოფი დარგი, ადამიანთა ყოველდღიური ინტერესების დაკმაყოფილებასთან, ის ბოლო პერიოდში აუცილებლად განიცდის განსაკუთრებით დაჩქარებული ძირეული ცვლილებების გავლენას. სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიური და სხვა პროცესები პირდაპირ ასახვას ჰპოვებს იმ ნორმებზე, რომლებიც ცალკეული სუბიექტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და სოციალური მშვიდობის გარანტიად გვევლინება. ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება ერთი მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლების

²<http://www.gccc.ge/wpcontent/uploads/2016/10/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98.pdf>, გვ. 2

³ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“ 1999წ., გვ. 6

⁴ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., შატბერაშვილი ლ., საქართველოს სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2005 წ., გვ.166

რეალიზაციის არნახული მასშტაბი და მეორე მხრივ, ეგრეთ წოდებული სუსტი მხარეების (ძირითადად მომხმარებლების) ინტერესების დაცვის კოორდინაცია.⁵

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, მნიშვნელოვანია შესასწავლი საკითხი დავყოთ დარგებად, ეს მიდგომა გვეხმარება თემის სისტემურ გააზრებაში. რა თქმა უნდა, რთული წარმოსადგენია რომ ნებისმიერი ნორმატიული აქტი მიეკუთვნებოდეს რომელიმე სამართლებრივ დარგს, მეორესთან კავშირის გარეშე. მაგალითად, ის ნორმები, რომლითაც რეგულირდება ვალდებულებითი სამართალი შესაძლებელია შეიცავდეს სანივთო სამართლებრივ ელემენტებს და, პირიქით, სანივთო უფლებების განხორციელება შუძლებელია ვალდებულებით სამართლებრივი კონსტრუქციების გარეშე.⁶

წარმოშობის საფუძვლის მიხედვით, ვალდებულებები იყოფიან - სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებად. ვალდებულებათა ამ დაყოფის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შინაარსი არ განისაზღვრება მხოლოდ კანონით, არამედ მისი განსაზღვრა ასევე შესაძლებელია ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებით, არასახელშეკრულებო ვალდებულებების შინაარსი კი მხოლოდ კანონზე ან კანონსა და ვალდებულების ერთი მხარის ნებაზეა დამოკიდებული.

1.1 ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები

ჯერ კიდევ გაიუსის ინსტიტუციებში იყო აღნიშნული, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია, მხოლოდ სახელშეკრულებო და დელიქტური ვალდებულებების გამიჯვნით არ ამოიწურება. რომაელმა იურისტმა, უსაფუძვლო გამდიდრება ცალკე გამოყო და ხაზი გაუსვა, რომ მას სახელშეკრულებო სამართლებრივი ბუნება არ აქვს და ამავე დროს, ზიანის მიყენებასთან, დელიქტის კლასიკური გაგებით არ არის დაკავშირებული.⁷

ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სისტემატიზაცია, ისტორიაში პირველად ნაპოლეონის კოდექსმა მოახდინა. ამ

⁵ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ., გვ. 19

⁶ Gernhuber, das Schuldverhältnis, Begründung und Änderung Pflichten und Strukturen Drittwirkungen, 1989, 2.

⁷ Zimmermann, The Law of Obligations: Roman Foundation of Civilian Tradition, 1996, 14.

კოდექსის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო როგორც სახელშეკრულებო, ასევე კვაზი სახელშეკრულებო ურთიერთობები, დელიქტები ან კვაზიდელიქტები. აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს კოდექსი დამოუკიდებლად განიხილავდა კანონს, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, და ფაქტობრივად ახდენდა ვალდებულების წარმოშობის საფუძველების ხუთწევრიან კლასიფიკაციას. დღემდე იზიარებს ამ მიდგომას რომანული სამართლის ოჯახის წევრი მართლწესრიგის ნაწილი.⁸

ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა კვაზიხელშეკრულებისა და კვაზიდელიქტების ცნებები უარყო და მათი გაერთიანება მოახდინა კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, ქართული სამოქალაქო სამართალი, ვალდებულებათა კლასიფიკაციის საფუძველად, იღებს კანონის მიერ ამ ვალდებულებათა აღიარებასა და მათ საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას და არა ამა თუ იმ ურთიერთობის მსგავსებას სახელშეკრულებო ან დელიქტურ ვალდებულებასთან, რაც სუბიექტური შეფასების საგანს წარმოადგენს.⁹

ვალდებულებითი ურთიერთობა შესაძლებელია იყოს ცალმხრივი ან ორმხრივი (მრავალმხრივი). ცალმხრივი ვალდებულებითი ურთიერთობის დროს, ერთ მხარეს აქვს მხოლოდ ვალდებულება, ხოლო მეორეს მხოლოდ მოთხოვნის უფლება. ორმხრივი (მრავალმხრივი) ვალდებულებითი ურთიერთობის დროს, ორივე მხარეს აქვს, როგორც ვალდებულება ისე მოთხოვნის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად გარიგებაა ვალდებულების წარმოშობის საფუძველი¹⁰, სამოქალაქო კოდექსი, ვალდებულების წარმოშობის საფუძველებს შორის, უპირატესობას ჯერ ხელშეკრულებას ანიჭებს, ხოლო შემდგომ არასახელშეკრულებო ვალდებულებებს. გარდა აღნიშნულისა, არსებობს ვალდებულების წარმოშობის სხვა საფუძველებიც, ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დამდგენი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებაც.¹¹

⁸ Von Bar/swann, Principles of European Law, 2010, 95.

⁹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ., გვ.50

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი;

¹¹ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ., გვ. 17

ცალმხრივი გარიგებაც შეიძლება გახდეს ვალდებულების წარმოშობის საფუძველი. მაგ.: საანდერძო დანაკისრის შემთხვევაში. საანდერძო დანაკისრის მიმღები უფლებამოსილია მემკვიდრეებისაგან მოითხოვოს ამ დანაკისრის შესრულება, ხოლო მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს იგი. ჯილდოს საჯაროდ დაპირებაც იწვევს ვალდებულების წარმოშობას. არასახელშეკრულებო ურთიერთობები მიეკუთვნება იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც ასევე იწვევენ ვალდებულების წარმოშობას, ასეთია მაგალითად, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება და კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.¹²

ვალდებულება შესაძლებელია წარმოიშვას არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან, ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის არ არსებობს წინასწარ ჩამოყალიბებული სამართლებრივი ურთიერთობა, უფლებები და მოვალეობები, დელიქტური ვალდებულება დგება იმ საკანონმდებლო ნორმათა დარღვევით, რომელთა შესრულებაც პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს.¹³ „არასახელშეკრულებო ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტი), ამიტომ მას დელიქტურ ვალდებულებებს უწოდებენ. მას ხშირად უწოდებენ ასევე „სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას“. „უნებართვო ქმედებისგან წარმოშობილ ვალდებულებას“.¹⁴

მთავარი განსხვავება სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის, გახლავთ ის, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება ნებაყოფლობით წარმოიშობა, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულება მოვალეს, ნების საწინააღმდეგოდ, კანონით ეკისრება. სახელშეკრულებო ვალდებულებებისას მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, თვითონ აირჩიონ, თუ როგორი შინაარსის იქნება მათი უფლებები და ვალდებულებები. ეს კი ნიშნავს იმას, რომ დავის შემთხვევაში, მხარეთა განზრახვა უნდა განმარტოს და გონივრულობისა და ობიექტურობის ფარგლებში გადაწყვიტოს მოსამართლემ. არასახელშეკრულებო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში ვალდებულების შინაარსი სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარეობს. დავის შემთხვევაში,

¹² საყვარელიძე კ., „ვალდებულება, როგორც ნების გამოვლენა ხელშეკრულებებში“ სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“, 2013 წ., გვ. 179

¹³ ჩიტოშვილი თ., „დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები“, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №1 საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2008 წ. გვ. 49

¹⁴ ჩიკვაშვილი შ., დელიქტური ვალდებულებანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტ. 2, 2001 წ. გვ. 379

მოსამართლე წყვეტს, ასე ვთქვათ, რა განზრახვა ჰქონდა კანონმდებელს ანუ ახდენს ნორმის განმარტებას.

დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულების თაობაზე დავის გადაწყვეტისას, საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის წესებს, კერძოდ: „სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი – ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთან ზიანის არსებობის ფაქტისა და ამ ზიანის სწორედ მოპასუხის ქმედებით გამოწვევის მტკიცების ტვირთი, პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს. ამავე კოდექსის 412-ე მუხლით დადგენილია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“¹⁵

ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების თავისუფალი გამოვლენისა და მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულებაა, მისი ძალით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება. ხელშეკრულების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ პირს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მისცეს, სუბიექტს ანიჭებს უფლებამოსილებას ვისთანაც უნდა, იმასთან შევიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში და განსაზღვროს ამ ურთიერთობის შინაარსი. ამასთან, მხარეთა „ნების ავტონომია“ მონაწილეებს არ ათავისუფლებს ერთმანეთის დასაცავი ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებისაგან.¹⁶

სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებობისას, მხარეები ხშირ შემთხვევებში თვითონ იქმნიან ვალდებულებებს, რომლებიც მათ მიერ შესრულებაზეა გამიზნული და ამით, ამ შესრულებით ვალდებულებათა

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №-ას-507-481-2011

¹⁶ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ., გვ. 15-16

შეწყვეტაზე. მეორე მხრივ კი, ხშირად არასახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა სწორედ იმ ფაქტიდან, რომ ვალდებული პირი არღვევს პირობას.

ადამიანებს შორის ცხოვრებისეული ინსტიქტის დონეზე არსებობს სხვადასხვა ნივთებისა და საქონლის გაცვლის მიზნით დამყარებული ურთიერთობები. ხელშეკრულება, როგორც ვალდებულების წარმოშობი ერთ-ერთი საფუძველი, შეგვიძლია განვიხილოთ, სოციალური სიკეთისა და მატერიალური დოვლათის განაწილების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად. ხელშეკრულება იდება მხოლოდ მაშინ როდესაც გათვალისწინებულია თითოეული მხარის ინტერესი და სარგებელი.¹⁷ სასამართლო პრაქტიკისა და საკანონმდებლო რეგულირების მნიშვნელობის ზრდამ ვერ დააკნინა ხელშეკრულების სამართლებრივი კონსტრუქციის მნიშვნელობა, პირიქით, ევროპაში ზოგჯერ თანამედროვე საზოგადოებას „სახელშეკრულებო საზოგადოებად“ მოიხსენიებენ.¹⁸

ვალდებულებით სამართალში განსაზღვრულია ის წესები, რომლებიც საერთოა სახელშეკრულებო ვალდებულებისათვის, ასეთ წესს წარმოადგენს, თუ პირმა იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს კიდეც - *Pakta sunt servanda* (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს), რადგანაც სახელშეკრულებო ვალდებულებები პირთა მიერ ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებებია, ბუნებრივია მას მხარისათვის უფრო დიდი წონა აქვს, ვიდრე სხვა გარედან მოხვეულ ვალდებულებებს. ამდენად, სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს გარიგება, რომლის ყველაზე გავრცელებულ სახესაც წარმოადგენს ხელშეკრულება.¹⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ხელშეკრულება არის იურიდიული ფაქტი, რომელიც ვალდებულების წარმოშობას იწვევს, ვალდებულება კი არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გარდა ხელშეკრულებისა შესაძლებელია წარმოიშვას სხვა არასახელშეკრულებო ურთიერთობიდანაც, როგორცაა ზიანის მიყენება, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.²⁰

¹⁷ Kötz/Flessner, *Europäisches Vertragsrecht*, 1996, 5

¹⁸ Gernhuber, *das Schuldverhältnis, Begründung und Änderung Pflichten und Strukturen Drittwirkungen*, 1989, 4.

¹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001წ., გვ. 44-45

²⁰ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი - 1999წ., გვ. 10, გვ. 14

1.2 ვალდებულების შესრულება

კერძო სამართლის სუბიექტების მიერ, ხელშეკრულება იდება ვალდებულების შესრულების ინტერესიდან გამომდინარე, ცალმხრივი გარიგების დადების დროსაც კი პირი დაინტერესებულია ვალდებულების შესრულებით.²¹ ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს 361-ე მუხლში, კერძოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილის დეფინიციიდან გამომდინარე: „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“²² აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონი განასხვავებს ვალდებულების ჯეროვან ან არაჯეროვან შესრულებას, ასევე ავალდებულებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს, პატივი სცენ ერთმანეთის ინტერესებს და კეთილსინდისიერად შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები. ვალდებულების ეთიკა, ყოველ პირს ანიჭებს უფლებას დაიცვას თავისი ინტერესები, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მეორე მხარის ინტერესების სრული იგნორირების ხარჯზე, უფრო მეტიც, იმისათვის რომ მათ შორის არსებული სამართალ ურთიერთობა ნორმალურად განვითარდეს აუცილებელია მხარეთა შორის კოორდინაცია და თანამშრომლობა, ასეთ დროს ორივე მხარე კმაყოფილია, მოვალე ვალდებულებისაგან გათავისუფლებით, ხოლო კრედიტორი - ვალდებულების შესრულების მიღებით.²³

ვალდებულების განსხვავებული ხასიათიდან გამომდინარე შესრულების უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია.²⁴ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე წარმოიშობა და სამართლის სუბიექტებს შორის ყალიბდება,²⁵ მის ბუნებრივ დასასრულს კი ვალდებულების შესრულება წარმოადგენს.²⁶

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვალდებულება შეიძლება შესრულდეს როგორც მოქმედებით, ასევე რაიმე მოქმედებისგან თავის შეკავებით, იმ

²¹ ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010წ., გვ. 127

²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (ელ. ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=101>)

²³ Contract Law in hellas by MiChael P. Stathopoulos, Kluwer Law International, The Hague-London Boston, Sakkoulas, Athens. 1995, 58

²⁴ Сарбаш, Исполнение Договораного Обязательства, 2005, 29.

²⁵ ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004 წ., გვ. 200

²⁶ Сергеев/Толстой, Гражданское Право, 2006, 745.

ვალდებულებებს, რომელთა შესრულებაც ხდება მოქმედებით უწოდებენ ვალდებულებებს დადებითი შინაარსით, ხოლო ვალდებულებები, რომლებიც მოქმედებისგან თავის შეკავებით სრულდება, ეწოდებათ ვალდებულებები უარყოფითი შინაარსით.²⁷ ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელი ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, დგინდება, რომ შესრულება ქმნის ვალდებულების არსებობის პრეზუმციას, ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში არც შესრულებას ექნება ადგილი²⁸. იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებით, ვალდებულების შესრულება, მოვალის მიერ, იმ მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვას გულისხმობს, რომელიც თვით შესრულების საგანთანაა დაკავშირებული.²⁹ თუ მოვალის ვალდებულებას წარმოადგენდა გარკვეული ხარისხის ნივთის მიწოდება კრედიტორისათვის, ჯეროვან შესრულებად სწორედ შესაბამისი ხარისხის ნივთის გადაცემა ჩაითვლება³⁰. თეორიაში ასეთ შესრულებას რეალურ (ნატურით) შესრულებას უწოდებენ.³¹ თანამედროვე სამართალში კი ჯეროვანი შესრულებისა და ნატურით შესრულების ურთიერთმიმართება კამათის საგანს წარმოადგენს.³²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მიღების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 429-431-ე მუხლები, განმარტა, როგორც ვალდებულების შესრულების მიღების ფორმა, კერძოდ აღნიშნული ნორმების წესებიდან გამომდინარე, მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში, კრედიტორმა მას უნდა გადასცეს შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი სასამართლოს პოზიციიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის არსებობა-არარსებობის ფაქტის დადგენისათვის.³³

²⁷ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი - 1999წ., გვ. 10, გვ. 37

²⁸ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხ.361, გვ. 267.

²⁹ იქვე.

³⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ., გვ.12

³¹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხ.361, გვ. 268

³² იხ. 30-ე სქოლიო

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №-ას-1541-1547-2011

დისპოზიციურ ხასიათს ატარებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპი³⁴, დისპოზიციურობა გამოიხატება კრედიტორის უფლებამოსილებაში მოვალისაგან მიიღოს არაჯეროვანი შესრულებაც. როგორც წესი, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება არ წყვეტს ვალდებულების არსებობის ფაქტს და შედეგად ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას იწვევს.³⁵ ვალდებულების შესრულების შემდეგი ელემენტი, კეთილსინდისიერება, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა პასუხისმგებლობით მოქმედებას გულისხმობს, ამ პრინციპის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი.³⁶ რაც შეეხება ვალდებულების შესრულების დროსა და ადგილს, ვალდებულების შესრულების დროდ, მიჩნეულია განსაზღვრული მომენტის დადგომა³⁷, ვადის დადგენა, როგორც წესი, ემსახურება მოვალის ინტერესებს, ხოლო აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კრედიტორის ლეგიტიმური ინტერესის არსებობის შემთხვევაში.³⁸ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს ვალდებულების შესრულების ადგილი წარმოადგენს, ვინაიდან ამ ელემენტით შესაძლებელია ვალდებულების შესრულების რისკის გადანაწილება, ვალდებულების დამრღვევის გამოვლენა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება.³⁹

1.3 ვალდებულების დარღვევა

სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს, ორივე მხარის მიზანს სარგებლის მიღება წარმოადგენს, როგორც წესი, იმ მხარის სასარგებლოდ დგება ვალდებულების შესრულების შედეგი, რომელიც მოთხოვნის უფლებას განკარგავს.⁴⁰ ხშირ შემთხვევებში, მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების მიზანი, არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპასუხო შესრულებათა მიღება. მოვალესა და კრედიტორს შორის წამოწყებული მოთხოვნითი ხასიათის

³⁴ კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წ., გვ. 83

³⁵ ძლიერიშვილი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2009 წ., გვ. 11

³⁶ Larenz, Lehrbuch des Schuldrecht, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, 1987, 94

³⁷ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი - 1999წ., გვ. 10, გვ. 47

³⁸ Fontaine, Content and Performance, Te American Journal of Comarative Law, 1992, 652

³⁹ Müko/krüger, BGB, 6, Aufl., 2012, § 269, Rn 1

⁴⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ., გვ. 322

ურთიერთობასთან ერთად წარმოიშობა ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა, რაშიც მთლიანად სახელშეკრულებო ურთიერთობა მოიაზრება.⁴¹ როგორც ზემოთ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ, ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება ვალდებულების დარღვევა.⁴² ვალდებულების დარღვევის შემთხვევაა, როდესაც ის არ სრულდება დათქმულ დროსა და ადგილას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ვალდებულების შესრულების ამ ელემენტთან დაკავშირებით, ვალდებულების დარღვევა უნდა გამომდინარეობდეს მოვალის მხრიდან კრედიტორის მიერ მიღებული ვალდებულების მხარეთა მიერ შეთანხმებულ დროში შეუსრულებლობიდან, სხვა შემთხვევაში, როდესაც კრედიტორს შესრულება მიღებული აქვს და ვალდებულების დარღვევა არ გამომდინარეობს ვალდებულების დროში შესრულებიდან, მას მოვალისაგან პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება არ გააჩნია და ხელშეკრულებაში ასეთი დანაწესი, შეთანხმების მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია.⁴³ ხოლო ვალდებულების შესრულების ადგილთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებიდან გამომდინარე „ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულ უნდა იქნას იმ ვალდებულების შესრულების ადგილი, რომლის შესრულების მიზნებისათვისაც დაიდო ხელშეკრულება“.⁴⁴

მოვალის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისას ზიანი ადგება კრედიტორს, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.⁴⁵

1.4 შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას

⁴¹ Musielak, Grundkurs BGB, 12 Auflage, 2011, 71

⁴² ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010წ., გვ. 178

⁴³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (№2ბ/3112-14)

⁴⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება (2ბ/3559-1128)

⁴⁵ ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010წ., გვ. 178

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებისა, ყოველთვის ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურების ზოგად ნორმებს, რომლებიც თანაბრად გამოიყენებოდა სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა არსებობისას.⁴⁶

იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანი, აუცილებელია მოხდეს ვალდებულების დარღვევა, ეს კი უშუალო კავშირშია ხელშეკრულების დარღვევასთან ან მის შეუსრულებლობასთან, კრედიტორისათვის უარყოფითი შედეგის მომტანი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული შეუსრულებლობა წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ წინაპირობას.⁴⁷

თუ კრედიტორს ზიანი მიადგება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მას ეძლევა უფლება აღნიშნული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს მოვალეს.⁴⁸ გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას საფუძვლად უდევს იდეა, რომ ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების ბრალეული დარღვევა, მოვალის მიერ.⁴⁹ აღნიშნული ნორმის ფორმულირება ნეგატიურადაა გამოხატული. ნეგატიური ფორმულირება, იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს ეკისრება ვალდებულების ბრალეული დარღვევის მტკიცების ტვირთი. თუმცა, იმ შემთხვევაში როცა სახეზე გვაქვს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, მტკიცების ტვირთი აწევს მოვალეს, რადგან წარმოუდგენელია და კრედიტორს ვერც მოეთხოვება იმ გარემოებების მტკიცება, რამაც მოვალეს შეუშალა ხელი ვალდებულების შესრულებაში.⁵⁰ შესრულების შეუძლებლობისას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირველადი შესრულების ადგილს იკავებს. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალისათვის შესრულების დამატებითი ვადის დაწესება აუცილებელი არ არის, რადგან წინასწარ არის ცნობილი, ის გარემოება, რომ მაინც ვერ მოჰყვება სასურველი შედეგი ვადის დაწესებას.⁵¹

როდესაც კრედიტორი შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურებას ითხოვს უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც მოვალის მიერ

⁴⁶ Winiger, Koziol, Koch, Zimmermann, Digest of European Tort Law, 2nd Volume, Essential Cases on Damage, 2011

⁴⁷ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ., გვ.12

⁴⁸ Musielak, grundkurs BGB, 2007, 210

⁴⁹ იხ. 69-ე სქოლიო

⁵⁰ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, 189-190

⁵¹ იქვე., გვ. 190

ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში იარსებებდა.⁵² რადგანაც მოთხოვნა შესრულებისადმი ინტერესის ანაზღაურებისკენაა მიმართული ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს აგრეთვე, მიუღებელი მოგება და ის ზედმეტი ხარჯები, რომლებიც კრედიტორმა გაიღო სხვა გზებით შესრულების მიღებისათვის.⁵³ ხოლო თუ სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს მოვალე ვალდებულებას, კრედიტორს უფლება ეძლევა მოითხოვოს ზოგადად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება, ასეთ შემთხვევაში მას აღარ ექნება ძირითადი შესრულების მოთხოვნის უფლება.⁵⁴

გერმანულ და ფრანგულ სამართლებრივ ოჯახებში, მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდისაკენ ვალდებულების დარღვევად მიიჩნიეს შესრულების შეუძლებლობა.⁵⁵ ამ დროიდან აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაიყო ფრანგული და გერმანული სამართლის გზები. საფრანგეთში ძველი მიდგომა დარჩა, რომლის მიხედვითაც ფორს მაჟორი ობიექტური კრიტერიუმებით განისაზღვრება და ბრალს ყურადღება არ ექცევა. გერმანიაში კი ბრალისგან დამოუკიდებელი საგარანტიო პასუხისმგებლობა, შეცვალა ბრალზე დამოკიდებულმა პასუხისმგებლობამ. ბრალის ფორმებად აღიარებულ იქნა განზრახვა და გაუფრთხილებლობა. თუმცა, გაუფრთხილებლობისას, წინდახედულობის მასშტაბად განისაზღვრა სამოქალაქო ბრუნვის მოცემული წრის საშუალო სტატისტიკური წარმომადგენლის განჭვრეტის უნარი და არა პირის ინდივიდუალური განჭვრეტის უნარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შეგვიძლია განვიხილოთ, თბილისის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელმაც სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიდგომა გაიზიარა, როდესაც მწყემს დააკისრა ძროხის ღირებულების ანაზღაურება, რომელიც მგლებმა შეჭამეს, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მიზარების ხელშეკრულება და მის ფარგლებში მოქმედებისას მწყემსი გაუფრთხილებლად მოქმედებდა, აღნიშნულთან დაკავშირებით არ იქნა გაზიარებული მოპასუხის მტკიცება, რომ ზიანი

⁵² Krajewski, M., New German Law of Obligations, The European Business Law Review, Vol. 14, Issue 2, 2003, 209

⁵³ Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30.Aufl., München, 2004, 249-250

⁵⁴ იქვე. გვ. 253-255

⁵⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §276. მოვალის პასუხისმგებლობა (2002 წლამდე)

(1) მოვალე პასუხს აგებს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განზრახვისა და გაუფრთხილებლობისას. გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც არ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულობას. შესაბამისად გამოიყენება §§827 და 828 ნორმები. (2) მოვალე არ შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან განზრახვისათვის.

დაუძლეველი ძალის შედეგად დადგა.⁵⁶ თუმცა მოვალეს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვის, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან,⁵⁷ თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდნენ, რომ მოვალე პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისთვის ასეთი ჩანაწერი ბათილი იქნება.⁵⁸ აქედან გამომდინარე სადაოა ის გარემოება, ჰქონდა თუ არა მწყემსის მიერ განზრახ ან უხეშ გაუფრთხილებლობას ადგილი და აქედან გამომდინარე სწორად გადაწყვიტა თუ არა სასამართლომ აღნიშნული საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის მსჯელობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებული წესები ვალდებულების დარღვევისას შეეხება ყველა შემთხვევას, სადაც ზიანის ანაზღაურების მოვალეობა დადგენილია. აქედან გამომდინარე, არ აქვს მნიშვნელობა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას უკავშირდება. ამიტომაც, ეს წესები მოქმედებს ძირითადად ვალდებულებით სამართალში.⁵⁹

1.5 ხელშეკრულებაზე უარის თქმა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო

მხარეები ხელშეკრულების დადებით თანხმობას აცხადებენ შეასრულონ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, *pacta sunt servanda* („ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“) პრინციპის შესაბამისად.⁶⁰ ანუ ხელშეკრულების დადებისთანავე მხარეები იმყოფებიან სახელშეკრულებო ბოჭვის მდგომარეობაში, აღნიშნული პრინციპი ხელშემკვრელ მხარეს ართმევს უფლებას ცალმხრივად თქვას უარი ხელშეკრულებაზე და აქედან გამომდინარე თავისი ვალდებულების შესრულებაზე, თუმცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს შესაძლებელია ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის №ას-1076-1008-2010 განჩინება

⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 395

⁵⁸ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა

„სამართალი“ 1999 წ., გვ. 56

⁵⁹ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ., გვ. 127

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, გვ. 44-45

უფლება, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა შესაძლებელია იყოს სახელშეკრულებო პირობების დარღვევა.⁶¹

აღნიშნული გარემოების მომწესრიგებელ ნორმას შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 326-ე პარაგრაფი, ის არეგულირებს, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შედეგებს, ორმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევებში. აქედან გამომდინარე, იგი მოქმედებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საწყისსა თუ შემდგომზე, ბრალეულსა თუ არაბრალეულ შემთხვევაზე.⁶² ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები გერმანული სამართლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების იდენტურია, ისევე როგორც მისი ნაწილობრივი ან არაჯეროვანი შესრულებისას. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების დადგენისას მოწმდება ორმხრივი ხელშეკრულების დროს დარღვეულია თუ არა ორმხრივი ვალდებულებები, ვადამოსულია თუ არა ვალდებულება, სახეზე არის თუ არა ვალდებულების შესრულების დაგვიანება ან არაჯეროვანი შესრულება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებისათვის აუცილებელია, რომ არ იყოს გამორიცხული გასვლის უფლება. არ შეიძლება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება იმით მოისპოს, რომ კრედიტორი წარუმატებლად აგრძელებს შესრულების მოთხოვნას.⁶³

ორმხრივი ხელშეკრულებების დროს მოვალისა და კრედიტორის ვალდებულებები ერთმანეთთან იმდენადაა დაკავშირებული, რომ ერთ მხარეზე ვალდებულების დაკისრება, მეორე მხარესაც გარკვეული ვალდებულებებს აკისრებს. შესაბამისად, მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შემთხვევაში, არც კრედიტორს უნდა დაეკისროს საპასუხო შესრულების განხორციელება.⁶⁴

იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტის ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას არღვევს, დასაშვებია მეორე მხარის მიერ უარი ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებაზე უარისთვის კანონი ვალდებულების დარღვევის ფაქტს მიიჩნევს საკმარისად, ამ უფლების განხორციელებისას ბრალეულობა არ განისაზღვრება მთავარ კრიტერიუმად.⁶⁵ ვალდებულების

⁶¹ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“ 1999 წ., გვ. 55-59

⁶² კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014 წ., გვ. 230

⁶³ იქვე, გვ. 226

⁶⁴ Krajewski, M., New German Law of Obligations, The European Business Law Review, Vol. 14, Issue 2, 2003, 2011.

⁶⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 398-ე მუხლები

ნაწილობრივი დარღვევა შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი, თუ დარჩენილის შესრულებამ აზრი დაკარგა კრედიტორისთვის.

ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველად, არ შეიძლება მივიჩნიოთ ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა, მნიშვნელოვან დარღვევად მიჩნეულ უნდა იქნას შედეგზე რეალურად უარყოფითი გავლენის მომხდენი დარღვევები. ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას იძლევა ის ვითარება, თუკი ხელშეკრულების საფუძველად განსაზღვრული ვალდებულებები, ხელშეკრულების დადების შემდეგ, აშკარად შეიცვალა და ამ ცვლილებების გათვალისწინების შემთხვევაში, მხარეებს ხელშეკრულების დადების სურვილი არ ექნებოდათ. ასეთ შემთხვევაში, მხარეებმა უნდა სცადონ შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება, ხოლო თუ ეს ვერ ხორციელდება, მაშინ უფლებადარღვეულ მხარეს უჩნდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.⁶⁶

აღსანიშნავია, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსი მოვალეს აძლევს უფლებას უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე შეუძლებლობის შემთხვევაში.⁶⁷ აღნიშნული გარემოების მომწესრიგებელი ნორმის დეფინიცია შესრულების შეუძლებლობის ობიექტურ და სუბიექტურ შემთხვევაზე მიუთითებს.⁶⁸ ვალდებულების შესრულება არ უნდა იყოს შესაძლებელი მოვალის ან სხვა ნებისმიერი პირისათვის, რაც ობიექტური განსჯის შედეგად გულისხმობს შესრულების შეუძლებლობის ფაქტის დადგენას. როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გარიგების მიზნის მიღწევა მეორე მხარეს ვერ მოეთხოვება სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში დარჩენა ვალდებულების შესრულების დაბრკოლების აღმოფხვრამდე. სუბიექტური შეუძლებლობიდან გამომდინარე მოვალე მოკლებულია ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას უუნარობის გამო და შესრულებას ნივთის აღდგენით, შოვნით ან სხვაგან ყიდვით ვერ შეძლებს.⁶⁹

ზოგადი შეხედულების მიხედვით, პირის ფინანსური გადახდისუუნარობა, მისი ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს. გერმანულ სამართალში დამკვიდრებული ზოგადი პრინციპის თანახმად, „პირს ფული უნდა ჰქონდეს,“ აქედან გამომდინარე გერმანული სამართალი

⁶⁶ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ., გვ.505

⁶⁷ ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010წ., გვ. 49

⁶⁸ იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §275

⁶⁹ Barrigan Marcantonio J., Unifying the Law of Impossibility, Georgetown, 1948-85, 43.

ფინანსური საფუძვლის არსებობისას მოვალეს ფულადი ვალდებულების შესრულებისგან არ ათავისუფლებს.⁷⁰ გერმანული სამართალი ასევე ყურადღებას ამახვილებს ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაზე,⁷¹ როდესაც გარკვეულ ფარგლებში ვერ სრულდება ვალდებულება.⁷² ხელშეკრულებიდან გასვლის განსაკუთრებულ საფუძველს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც ვერ ხერხდება ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განმარტების თანახმად, პატივსადები მიზეზის არსებობისას მხარეს უფლება აქვს უარი თქვას, გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე, ხელშეკრულების მოშლისთვის დადგენილი ვადის დაუცველად, ასეთ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს, დაუძლეველი ძალა, შესაბამისად ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით ხელშეკრულების მოშლა მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული.⁷⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც უნდა დაიცვას მხარემ ხელშეკრულებაზე უარის თქმისას, ამ წინაპირობებს წარმოადგენს: შეტყობინება, დამატებითი ვადის მიცემა, გაფრთხილება.⁷⁵

1.6 შეტყობინება და დამატებითი ვადის დაწესება ხელშეკრულების დარღვევისას

როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველებს წარმოადგენს შეტყობინება და დამატებითი ვადის დაწესება. მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლის სურვილის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია მსურველის მხრიდან კონტრაქტისთვის შეტყობინება, ამ ქმედების განუხორციელებლობა

⁷⁰ Markesinis B, Unberath H, Johnson A., The German Law of Contracts, Oxford, 2006, გვ. 410.

⁷¹ იხ. 94-ე სქოლიო.

⁷² კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014, გვ. 150.

⁷³ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ., გვ. 508

⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 ოქტომბრის №ას-545-513-2012 გადაწყვეტილება.

⁷⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355 და 405 მუხლები.

შესაძლებელია გახდეს, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.⁷⁶

ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს წარმოეშობა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, იმ შემთხვევაში თუ უშედეგოდ გავა მის მიერ დამატებით დაწესებული ვადა. ვადის დაწესების მიმართ კანონი კონკრეტულ სავალდებულო რეკვიზიტებს არ ადგენს, დასაშვებია როგორც წერილობით ასევე ზეპირი ფორმით შეთანხმება, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატიული წინაპირობა - გაფრთხილება, გამოიყენება მაშინ, როდესაც ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე დამატებითი ვადის დაწესება არამიზანშეწონილია.⁷⁷

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს აქვს სამართლებრივი საფუძველი ხელშეკრულების მოშლისთვის, მას არ აქვს ვალდებულება მეორე მხარესთან შეთანხმოს გასვლის თაობაზე, თუმცა აუცილებლად უნდა შეატყობინოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.⁷⁸

2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ცნების პირდაპირ ჩანაწერს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, ის გვხვდება სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის⁷⁹ სათაურში, თუმცა თვითონ ნორმა აწესებს მოვალის მიერ ვადის გადაცილების გამომრიცხველ გარემოებას, მოვალის ბრალის არარსებობის შემთხვევაში.⁸⁰

პირებს შორის, ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოქმნილი ურთიერთობები რეგულირდება ვალდებულებითი სამართლით. ზოგადად

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ., გვ. 507

⁷⁸ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“ 1999 წ., გვ. 36

⁷⁹ მუხლი 401. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

⁸⁰ ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010წ., გვ. 171

ვალდებულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელშეკრულების, დელიქტის, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით წარმოიქმნება. შესრულების მოთხოვნა, ყოველთვის კონკრეტული პირისადმი მიმართული და ის ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად.⁸¹ ვალდებულების წარმოშობისათვის (გარდა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისა) საჭიროა მონაწილეთა შორის ხელშეკრულება.

იურისტებისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის პრობლემა იმ დროიდანაა ცნობილი, როცა სახელშეკრულებო სამართალმა მიიღო ელემენტარული ფორმა. ჯერ კიდევ რომაელებმა ამ შემთხვევების გადაწყვეტისათვის შეიმუშავეს ცალსახა მაქსიმა – *impossibilium nulla obligatio est* („არ არსებობს ვალდებულება განუხორციელებლის შესრულებისა“)⁸² მართალია, ეს პრინციპი გარკვეული ფორმით დღემდე ძალაშია ყველა ევროპულ მართლწესრიგში, თუმცა ამ მართლწესრიგებს ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განასხვავებს მისი დოგმატური გაფორმება და სისტემური ადგილი ვალდებულების დარღვევის სამართალში.

ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში მოცემულია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ძირითადი დანაწესები, რაც მისი არსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით მათი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.⁸³ ქართველი კანონმდებლის მიერ აღნიშნული ინსტიტუტის, მხოლოდ ზოგად დონეზე მოწესრიგება და თითქმის იგნორირება გასაკვირია, ვინაიდან მის მომწესრიგებელ ნორმებს მრავლად შეიცავდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2002 წლის რეფორმებამდე, ხოლო ცვლილებების შემდეგ, მართალია, შემცირდა აღნიშნულ ნორმათა ოდენობა, მაგრამ თავად ინსტიტუტს არ დაუკარგავს თავისი პოზიცია.⁸⁴

იქედან გამომდინარე, რომ დავის საგნად ხშირად გვევლინება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, მას ფართო გამოყენება აქვს სამართალწარმოების ფარგლებში, შესაბამისად, ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს. ვალდებულების

⁸¹ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ., გვ. 8

⁸² ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი 2011 წ., გვ. 10

⁸³ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014, გვ. 865.

⁸⁴ ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, მეორე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010წ., გვ. 171-172

შესრულების შეუძლებლობის ცნებაში უნდა მოვიაროთ რიგი შემთხვევებისა, როდესაც მოვალე მოკლებულია შესაძლებლობას, კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს გარკვეული მიზეზებისა და გარემოებებიდან გამომდინარე.⁸⁵

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას შესაძლებელია გამოვყოთ ვალდებულების ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობა. ობიექტური შეუძლებლობა გვეჩვენა სახეზე თუ შესრულება არამარტო მოვალისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია. ხოლო სუბიექტური შეუძლებლობისას არსებობს გარკვეული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც მოვალე მოკლებულია შესაძლებლობას შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება, მაგრამ, მესამე პირი შეძლებდა მოვალის ვალდებულების შესრულებას.⁸⁶ რაც შეეხება საწყის და შემდგომ ვალდებულების შეუძლებლობას, თუ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობამდეა შეუძლებელი ვალდებულების შესრულება, საქმე გვაქვს - საწყის შეუძლებლობასთან, ხოლო თუ შეუძლებლობა წარმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდგომ, ეს იქნება - შემდგომი შეუძლებლობა.⁸⁷ ვალდებულების ეკონომიკური შეუძლებლობისას გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც შესრულება კეთილსინდისიერების პრინციპს სცდება, რადგან ისეთი სიძნელეები ექმნება მოვალეს, რომელიც მის მიმართ შესრულების მოთხოვნას შეუძლებელს ხდის.⁸⁸ იურიდიულ ლიტერატურაში კიდევ არსებობს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სახეები, რომლებზეც ამ ეტაპზე აღარ შევჩერდებით.

2.1 კრედიტორის ბრალით გამოწვეული შეუძლებლობა

ზოგიერთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოვალეზე, ის შეიძლება უკავშირდებოდეს კრედიტორის მიერ გარკვეული მოქმედების შესრულების ფაქტს, ასეთი გარემოება გვაქვს სახეზე, როდესაც კრედიტორი არ იღებს შესრულებას, თუმცა ვალდებულების შესრულების ვადა უკვე დამდგარია, საქართველოს

⁸⁵ Eisenberg M. A., *Impossibility, Impracticability and Frustration*, Cambridge, 2009, 208.

⁸⁶ Hütte, Felix/Helborn, Marlena/Wenzel, Henning – „schuldrecht; Allgemeiner Teil“, 1. Aufl., Grasberg bei Bremen, 2003, 143

⁸⁷ Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – *Allgemeines Schuldrecht*, 30. Aufl., München, 2004, 207-208

⁸⁸ იქვე., გვ. 206

სამოქალაქო კოდექსის თანახმად⁸⁹ კრედიტორს ეკისრება ვალდებულება განახორციელოს მასზე დაკისრებული ის მოვალეობები, რაც მის მიერ შესრულების მიღებისთვის არის საჭირო, შესაბამისად ხელი შეუწყოს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში.⁹⁰

აქედან გამომდინარე ვადგენთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი და შემზღუდავი გარემოებები სახელშეკრულებო შესრულების ვადის გადაცილებისას. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ისეთი სუბიექტური და ობიექტური გარემოებები რომელიც ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს, შესრულების შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება მთლიანად გამოირიცხება.⁹¹ სსკ-ის 401-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე არ შეიძლება ვადა გადაცილებულად ჩავთვალოთ ისეთ შემთხვევაში, რომელიც არ ყოფილა გამოწვეული მოვალის ბრალით. ნორმის ფორმულირებიდანვე ჩანს, რომ იგი შესაძლებელია მხოლოდ არაბრალეულ შეუძლებლობაზე გავრცელდეს. აღნიშნული დანაწესი მიჩნეულია მხოლოდ ვადის გადაცილების გამომრიცხავ ფაქტორად და არ დგინდება რა ბედი ეწევა პირველადი შესრულების ვალდებულებას. ყურადღება უნდა გავამახვილოთ, 406-ე მუხლის მე-2 ნაწილზეც, რომელიც აწესრიგებს კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნებისას წარმოშობილ გარემოებებს. აღნიშნული ნორმა პირიქით არის ჩამოყალიბებული⁹² თუმცა, განმარტების შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ კანონმდებლის მიზანს წარმოადგენდა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში, სსკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგის დადგომა, რაც მოიაზრებს, მოვალის არაბრალეული შეუძლებლობის დროს, ანუ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაშიც, შეუძლებლობის რისკი კრედიტორს აწევს.⁹³

⁸⁹ მუხლი 390. ცნება

1. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია. 2. თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს.

⁹⁰ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი - 1999წ., გვ. 10, გვ. 53

⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-7-6-2010, 7 ივნისი, 2010, გვ. 5-6.

⁹² ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010 წ., გვ. 223-224

⁹³ Picher, Eduard – „Schuldrechtsreform und Privatautonomie“, JZ 2003, 1035, 1036.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის შემადგენლობიდან გამომდინარე მოვალის არაბრალეულობა უკავშირდება ზიანის ანაზღაურებისაგან მის გათავისუფლებას. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობისგან განსხვავებით, სამოქალაქო კანონმდებლობა,, არ მიუთითებს თუ კონკრეტულად ბრალის რომელ ფორმაზეა აღნიშნულ დანაწესში საუბარი. აქედან გამომდინარე, ბრალის ცნებაში განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც უნდა მოვიაზროთ. სამოქალაქო კოდექსისთვის არ არის ცნობილი ბრალის ლეგალური დეფინიცია. თანამედროვე დოქტრინა ბრალის კონცეფციაში სამოქალაქო ბრუნვისთვის საკმარისი ყურადღებიანობის დაცვას მოიაზრებს, შესაბამისად, სამართალდარღვევად მიიჩნევა ამგვარი ყურადღებიანობის დაუცველობა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად კრედიტორი არ არღვევს ვალდებულებას შესრულების მიღების ვადის გადაცილების გამო, სხვა რამ არ დგინდება კანონით ან ხელშეკრულებით, შესრულების მიღება წარმოადგენს უფლებას და არა ვალდებულებას.⁹⁴ შესაბამისად, ამ უფლების გამოუყენებლობა კრედიტორისათვის თვითსასარგებლო ინტერესის უფლებებელყოფასა და კრედიტორის სამართლებრივი პოზიციების გაუარესებას იწვევს.⁹⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორს არ არის უფლებამოსილი უარი განაცხადოს, გარკვეულწილად ხელი შეუწყოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას, ვინაიდან ის არ მოიაზრება ვალდებულების შემსრულებელ სუბიექტად და ასევე ვალდებულია, უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს შესრულებაზე, იმ თვალსაზრისით, რომ უარი თქვას ისეთი შესრულების მიღებაზე, რომლის ვადაც უკვე დამდგარია. ისეთი შემთხვევები, როდესაც კრედიტორის განსაზღვრული მოქმედებაა საჭირო და იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს, უთანაბრდება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას.⁹⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორის მიერ საპასუხო შესრულების განხორციელებამდე მოვალეს უფლება აქვს, უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს ვალდებულების შესრულების სუბიექტურ და არა ობიექტურ შეუძლებლობას,

⁹⁴ ზოიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 353;

⁹⁵ სამოქალაქო კოდექსის კომენტარის ელექტრონული ვერსია:

<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2017/02/Artikel-390.pdf>

⁹⁶ ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010წ., გვ. 165

რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კრედიტორი ვერ ასრულებს ვალდებულებას ობიექტურ გარემოებათა გამო, ეს გარემოება მას ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან, შესაბამისად, არც მოვალეს წარმოეშობა საპასუხო შესრულების ვალდებულება.⁹⁷ ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობის თაობაზე დავის არსებობის შემთხვევაში, მოვალეს შეუძლია, უარი თქვას საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე მანამ, სანამ კრედიტორის მხრიდან დადასტურებული არ იქნება ვალდებულების შესრულების ობიექტურ შეუძლებლობა.⁹⁸

2.2 ორმხრივი ბრალით გამოწვეული შეუძლებლობა

ორმხრივი ბრალით გამოწვეული შეუძლებლობა გვექნება სახეზე, იმ შემთხვევაში, როდესაც არც ერთი მხარის ბრალი არ აჭარბებს ან უმნიშვნელოდ აჭარბებს მეორის ბრალს, ქართული და არც გერმანული კანონმდებლობა აღნიშნულ ვითარებას არ აწესრიგებს.

გერმანული იურიდიული ლიტერატურა ამ შემთხვევის განმსაზღვრელ სამ მოსაზრებას იძლევა. პირველი მოსაზრების თანახმად, ორმხრივი ბრალის არსებობისას საპირისპირო შესრულების მოთხოვნა უნდა დარჩეს ძალაში, თუმცა საჭიროა გსკ-ის 254-ე პარაგრაფიდან⁹⁹ გამომდინარე კრედიტორის ბრალის შესაბამისად შემცირდეს მისი მოცულობა.¹⁰⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ამავე პარაგრაფიდან გამომდინარეობს მეორე მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც საპირისპირო შესრულების მოთხოვნა მთლიანად რჩება ძალაში, მაგრამ კრედიტორს, რომლის მოთხოვნის უფლებაც შეუძლებელი გახდა, შესრულების ნაცვლად აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სუროგაციის მეთოდის მეშვეობით, აღნიშნული ვითარება შესაძლებლობას გსკ-

⁹⁷ MüKo/Emmerich, BGB, 6. Aufl., 2012, § 320, 29

⁹⁸ იქვე

⁹⁹ §254. თანაბრალეულობა

(1) თუ ზიანის დადგომას ხელი შეუწყო დაზარალებულის ბრალეულმა მოქმედებამ, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ისევე როგორც ანაზღაურების მოცულობა, დამოკიდებულია იმაზე, უფრო მეტად რა მოცულობით არის გამოწვეული ზიანი ერთი ან მეორე მხარის ბრალით. (2) აღნიშნული წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება უმოქმედობაში, მიექცია მოვალის ყურადღება იმ უჩვეულოდ დიდი ზიანის საფრთხეზე, რომლის შესახებაც მოვალემ არ იცოდა და მას არც უნდა სცოდნოდა ანდა დაზარალებულმა არ მიიღო ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.

¹⁰⁰ CANARIS, FS Lorenz, 147, MEDICUS, Schuldrecht I Rn. 503

ის 254-ე პარაგრაფის პირდაპირი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.¹⁰¹ მესამე მოსაზრებიდან გამომდინარე პირველი ორი მიდგომის ნაკლად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ ისინი საპირისპირო შესრულების მოთხოვნას ტოვებენ ძალაში, მიუხედავად იმისა, რომ გსკ-ის 326-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებით¹⁰² ორივე მხრიდან თანაბარი ბრალის შემთხვევა მოწესრიგებული არ არის. თუ ამ მოსაზრებას დავეყრდნობით, თანაბარი ბრალეულობის შემთხვევაში საპირისპირო ვალდებულების შესრულების მოთხოვნა გსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლი ნაწილი 1-ლი წინადადების¹⁰³ შესაბამისად აღარ არსებობს.¹⁰⁴

კრედიტორს ასევე არ აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის მოთხოვნის უფლება, რადგან (გსკ-ის 283-ე მუხლის მიხედვით¹⁰⁵) ამ შემთხვევის წინაპირობაა თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობა, რომელიც გახდა შეუძლებელი. მოცემულ შემთხვევაში კი მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ რომელიც ყოველთვის შესაძლებელია. შესაბამისად აღარ არსებობს ვალდებულება, რომლის ნაცვლადაც კრედიტორი მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას.

თუ დავეყრდნობით მესამე მოსაზრებას, რომელიც კანონის ტექსტთან ყველაზე ახლოსაა, კრედიტორი დაკარგავს მოთხოვნის უფლებას, რადგან ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის შენარჩუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ

¹⁰¹ Palandt/GRÜNEBERG, § 326 Rn.15.

¹⁰² გსკ §326. საპასუხო დაკმაყოფილებისაგან გათავისუფლება და ხელშეკრულებაზე უარის თქმა ვალდებულების შესრულების ვალდებულების გამორიცხვის შემთხვევაში (1) თუ მოვალეს §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ გამორიცხება საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებაც; ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება §441 მე-3 ნაწილი. 1-ლი წინადადება არ მოქმედებს, თუ მოვალეს ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე. (2) თუ კრედიტორი იმ გარემოებისათვის, რომლის საფუძველზეც მოვალეს §275 1-3 ნაწილების თანახმად შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მხოლოდ ის ან უმთავრესად თავად არის პასუხისმგებელი ანდა თუ იმ გარემოებას, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს, _ მაშინ მოვალე ინარჩუნებს საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებას. თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ თანხის მის ანგარიშში ჩათვლა, რასაც იგი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების შედეგად ზოგავს ან საკუთარი საწარმოო ძალების სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს ანდა ბოროტი განზრახვით არ იძენს.

¹⁰³ იხ. 66-ე სქოლიო

¹⁰⁴ CANARIS, FS Lorenz, 147, MEDICUS, Schuldrecht I Rn. 503

¹⁰⁵ გსკ §283. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულება გამორიცხულია თუ მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს ვალდებულება §275 1-3 ნაწილების თანახმად, მაშინ კრედიტორს შეუძლია §280 1-ლი ნაწილის პირობების შესრულების გათვალისწინებით შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად გამოიყენება §281 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები.

შეუძლებლობა გამოწვეული იქნებოდა მხოლოდ ან უმთავრესად მოვალის ბრალით. იმ ვითარებაში, თუ შეუძლებლობა არ არის გამოწვეული მხოლოდ ან უმთავრესად კრედიტორის ბრალით, ის არა მხოლოდ კარგავს შესრულების მოთხოვნის უფლებას, არამედ ასევე ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას შესრულების სანაცვლოდ, როგორც ზემოთ ვახსენეთ.

2.3 შესრულების შეუძლებლობა ქართულ სამართალში

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების დარღვევის სახედ არ არის განხილული ქართულ კანონმდებლობაში. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მომწესრიგებელი ერთადერთი ნორმა¹⁰⁶ მოცემულია ვადის გადაცილების კატეგორიაში, ისიც არასრულყოფილად.¹⁰⁷ აღნიშნული ნორმა ყველა ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება, ამიტომ დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება ნებისმიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის აუცილებელ წინაპირობად უნდა განვიხილოთ. თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება ვადის დაწესება არ არის აუცილებელი. მაგრამ, ამ ნორმის ქვეშ შესაძლებელია, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებიც ვიგულისხმოთ. დამატებითი ვადის დაწესებისას უნდა გავითვალისწინოთ, ორმხრივი ინტერესები, რომლის მიზანსაც როგორც კრედიტორის ასევე მოვალის ინტერესების დაცვა წარმოადგენს. შესრულების შეუძლებლობისას მოვალის ინტერესი კი, შესრულების ვალდებულებისაგან მისი გათავისუფლებაა. ასეთ შემთხვევაში აზრს მოკლებულია დამატებითი ვადის განსაზღვრა კრედიტორისთვისაც.

მართალია, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას დამატებითი ვადის დაწესების მომწესრიგებელი ნორმები, მოვალეს დამატებითი შესრულების მოვალეობისაგან ათავისუფლებენ. თუმცა, ისინი შეიძლება მივიჩნიოთ პირველადი შესრულების ვალდებულებისაგან მოვალის გათავისუფლების საფუძვლად. ამ შემთხვევაში, მოვალე ფაქტობრივად შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებული გამოდის. შესრულების შეუძლებლობისას, კრედიტორი ყველანაირი ვადის დაწესების ან

¹⁰⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი;

¹⁰⁷ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი №2, თბილისი 2011 წ., გვ. 167

გაფრთხილების გარეშე მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელების ეტაპზე გადადის.

შესრულების შეუძლებლობისას საინტერესოა არამხოლოდ მოვალის პირველადი შესრულების არამედ კრედიტორის მოთხოვნის უფლებები ვალდებულების ბედიც. ქართულ სამოქალაქო კოდექსში ვალდებულების დარღვევის მომწესრიგებელი ნორმები ვალდებულებითი სამართლის ზოგადსა და კერძო ნაწილებშია გაბნეული. მაგრამ, ვალდებულების დარღვევის ცნების ერთიან განმარტებას არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, შესრულების მომწესრიგებელი ნორმების ანალიზის შედეგად უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, თუ რა ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად. ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელი ნორმის დეფინიციაში კვითხულობთ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას¹⁰⁸. შესაბამისად, ზემოაღნიშნული წინაპირობების დარღვევის შემთხვევაში, დარღვეულად ჩაითვლება შესრულების ვალდებულება. აქედან გამომდინარე, ვალდებულება ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ სრულდება.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, რომ ვალდებულების დარღვევად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განიხილავს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. ამ მოსაზრების საფუძვლად კი ასახელებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხელშემკვრელ მხარეთა უფლებას, პატივსადები მიზეზის არსებობისას მოშალონ ხელშეკრულება, ხოლო პატივსადებ მიზეზში დაუძლეველ ძალას მოიაზრებენ, რომლის დროსაც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, მხარეს ენიჭება ხელშეკრულების მოშლის უფლება.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრების თანახმად, შესრულების შეუძლებლობით გამოწვეულ ვალდებულების შეუსრულებლობას ვალდებულება დარღვეულად არ უნდა მივიჩნიოთ მანამ, სანამ მოვალე თავის არაბრალეულობას არ დაამტკიცებს, შეუძლებლობის გამოწვევაში ან მის მიერ შეუძლებლობის გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილების შეუძლებლობაში.¹⁰⁹ ხოლო მეორე მოსაზრების თანახმად ფაქტობრივი შეუძლებლობა, სახეზე გვაქვს, ისეთი გარემოების არსებობის დროს, რომლისთვისაც არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს. აღნიშნული მოსაზრებებით შესრულების შეუძლებლობის

¹⁰⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი

¹⁰⁹ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010 წ., გვ. 38;

ობიექტურ კატეგორიად მიჩნევის საკითხი უგულებელყოფილია. ანუ როდესაც მოვალე შესრულებაუნარიანი არ არის და არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება ამ მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს. აგრეთვე გაუგებარია თუ ნაკლიანი შესრულებას მივიჩნევთ ვალდებულების დარღვევად, მისი სრულიად განუხორციელებლობა რატომ არ უნდა ჩაითვალოს ვალდებულების დარღვევად. ამიტომაც, იმ შემთხვევაშიც როცა მოვალის ბრალითაა გამოწვეული შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების, შესრულების შეუძლებლობასთან მაშასადამე, ვალდებულების დარღვევასთან გვექნება საქმე.

ორმხრივ ხელშეკრულებებში მოვალის პირველადი ვალდებულების საკითხის გარკვევის გარდა მნიშვნელოვანია კრედიტორის მიერ საპასუხო შესრულების განხორციელება.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც, ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახდა კრედიტორის განზრახვით ან გაუფრთხილებლობით, მოვალეს მისგან საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება ექნება.¹¹⁰ აღნიშნული გარემოება მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლების წინაპირობას წარმოადგენს. ანუ მოვალე პირველადი შესრულების ვალდებულებისაგან თავისუფლდება. აქედან გამომდინარე, კრედიტორის ბრალით შეუძლებლობის გამომწვევი გარემოებების დადგომაში, მოვალეს უნარჩუნდება საპასუხო შესრულების მიღების უფლება.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი მიზეზი კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნებისას წარმოიშვა ასეთ შემთხვევაში მოვალე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას. აქედან გამომდინარე კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მას აწევს მოვალის არაბრალეული შეუძლებლობის რისკი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, თუ ხელშეკრულება მხარეთა სავარაუდო ინტერესის შესაბამისად განიმარტება, საკანონმდებლო მოწესრიგება შესრულების გართულების შემთხვევებისათვის არ იქნება აუცილებელი.¹¹¹ ხელშეკრულების დადებისას მხარეებს არ შეიძლება ცალსახა წარმოდგენა ჰქონდეთ იმ უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოვალის მიერ გასაწევი ძალისხმევის ოდენობა ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევაში, ხელშეკრულების გარდა განისაზღვროს სამართლებრივი ნორმების გზით.

¹¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 406-ე მუხლი;

¹¹¹ Picker, Eduard, "Schuldrechtsreform und Privatautonomie", JZ 2003, 1035

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევებს¹¹², წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ეს წესები შესაძლებელია გავრცელდეს „ფაქტობრივი შეუძლებლობის“ შემთხვევებზეც, თუმცა, მას, ფაქტობრივი შეუძლებლობის ყველა შემთხვევაზე ვერ გავავრცელებთ. იგი მხოლოდ მოულოდნელი გართულების შემთხვევებზე ვრცელდება, და სახეზე არ უნდა გვქონდეს შესრულების გართულების გარემოებების დადგომაში მხარეთა არაბრალეულობა.

ასეთ შემთხვევებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან.

2.4 შესრულების შეუძლებლობა გერმანულ სამართალში

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში შეიცვალა შესრულების შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმები, 2002 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად. მანამდე გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არ იყო გათვალისწინებული საწყისი შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმა და ის არც ვალდებულების შეუძლებლობად დაკვალიფიცირებისთვის საჭირო წინაპირობებს განსაზღვრავდა.¹¹³ ახალი კოდექსით შესაძლებელი გახდა შესრულების შეუძლებლობის ზოგადი ლეგალური დეფინიციის დადგენა და მოხდა ცალკეული შეუძლებლობის ცნებების დიფერენცია.¹¹⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 275-ე პარაგრაფის¹¹⁵ პირველ ნაწილში მოიაზრება მხოლოდ ისეთი ჭეშმარიტი შეუძლებლობა, როდესაც თეორიულადაც კი შეუძლებელია შესრულება,¹¹⁶ ის ასევე ობიექტურთან ერთად სუბიექტურ შეუძლებლობასაც მოიცავს.¹¹⁷ კანონის ფორმულირებიდან გამომდინარე მნიშვნელობა ხელშეკრულების დადების შემდეგ ექნება ადგილი შესრულების შეუძლებლობას თუ მანამდე მნიშვნელობა

¹¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი;

¹¹³ ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი 2011, გვ. 17

¹¹⁴ Krajewski, M., New German Law of Obligations, The European Business Law Review, Vol. 14, Issue 2, 2003, p. 205.

¹¹⁵ <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 275-ე პარაგრაფი.

¹¹⁶ Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30.Aufl., München, 2004, Rdnr. 3.

¹¹⁷ Musielak, Hans-Joachim – Grundkurs BGB, 10. Aufl., München, 2007, 201.

აღარ ენიჭება, შესაბამისად, აღნიშნული მუხლი მოიცავს საწყისი და შემდგომი შეუძლებლობის შემთხვევებს.¹¹⁸ მოვალე შესრულების ვალდებულებისაგან მაშინაც თავისუფლდება როცა შესრულება შეუძლებელი გახდა მისი განზრახი თუ გაუფრთხილებელი ქმედების გამო.¹¹⁹

იმის მიუხედავად, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული დანაწესის მიხედვით, მოვალე შესრულების ვალდებულებისაგან თავისუფლდება, შეუსრულებლობა მაინც მიიჩნევა ვალდებულების დარღვევად, აქედან გამომდინარე, მოქმედებს პრინციპი, რომ თუ მოვალის მიერ არ სრულდება ვალდებულება ესეიგი ის არღვევს მას¹²⁰. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა წრიდან ნებისმიერი ობიექტური გადახვევა ითვლება ვალდებულების დარღვევად. ამ შემთხვევაში მოვალე თავისუფლდება მხოლოდ პირველადი შესრულების ვალდებულებისგან, კრედიტორს კი ვალდებულების დარღვევისათვის ენიჭება მეორადი მოთხოვნის უფლებები.¹²¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც შესრულება შესაძლებელია, მაგრამ, იმდენად რთულია მოვალისათვის, რომ შესრულების მოთხოვნა კეთილსინდისიერების პრინციპს სცდება. ასეთ შემთხვევაში გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოვალეს უფლებას ანიჭებს, უარი თქვას შესრულებაზე, თუ ის შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესთან აშკარა შეუსაბამობაშია. ვალდებულების შესასრულებლად მოვალის მიერ გასაწევი ძალისხმევის განსაზღვრისას, აგრეთვე, მნიშვნელოვანია მოვალის ბრალის გათვალისწინება შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებაში.

ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს 275-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი, თუმცა, ის შესრულების ვალდებულებისაგან ავტომატურად არ ათავისუფლებს მოვალეს და აძლევს მას შესრულებაზე უარის თქმის უფლებას.¹²² აღნიშნული ნორმა ხელშეკრულების ბოჭვის პრინციპის გათვალისწინებით, წარმოადგენს ვიწროდ განსამარტ, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებზე გამოსაყენებელ სპეციალურ ნორმას.¹²³ ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა კრედიტორის ინტერესს შესრულებისადმი. მოვალის მიერ

¹¹⁸ Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30.Aufl., München, 2004, Rdnr. 10.

¹¹⁹ Canaris, Claus-Wilhelm, “Die Reform des Rechts der Leistungsstörungen”, JZ 2001, 499-500.

¹²⁰ Wieser, Eberhard, “eine Revolution des Schuldrechts”, NJW 2001, 121-122.

¹²¹ Lorenz, Stephan, “Grundwissen – Zivilrecht: Was ist eine Pflichtverletzung (§280 I BGB)”, JuS 2007, 213-214

¹²² Heinrichs – “Bürgerliches Gesetzbuch”, 2006, 338

¹²³ Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30.Aufl., München, 2004, 210

შესრულებისათვის საჭირო დანახარჯები უნდა შედარდეს კრედიტორის ინტერესს და არა საპასუხო შესრულების მიმართ მოვალის ინტერესს.¹²⁴

საკამათო საკითხს წარმოადგენს, მოვალის მიერ გასაწევი დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც აშკარა შეუსაბამობად უნდა მივიჩნიოთ კრედიტორის ინტერესთან მიმართებით. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ნასყიდობის ფასი მიიჩნევა მოვალის მიერ გასაწევი დანახარჯების ზღვრად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭკმმარიტი შეუძლებლობისას აღმოჩნდებოდა უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ვალდებულების გართულების შემთხვევაში.¹²⁵ კანონი აშკარა შეუსაბამობის დადგენის სამ კრიტერიუმს განსაზღვრავს: ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს, კეთილსინდისიერების პრინციპსა და ვალდებულების შესრულების მოვალის ბრალს დაბრკოლების წარმოშობაში. ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი განისაზღვრება, ხელშეკრულების განმარტებიდან გამომდინარე. ხდება მხარეთა მიერ რისკის განაწილება.¹²⁶ მხარეთა სამართლებრივი დაცვის აუცილებლობის თვალსაზრისით აშკარა შეუსაბამობის განსაზღვრისას აუცილებელია ბრალის კრიტერიუმის გათვალისწინება. თუ ვალდებულების დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობაში იკვეთება მხარის ბრალეული ქმედება, ასეთ შემთხვევაში მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ვალდებულების შესრულებისადმი უფრო მკაცრი იქნება, ვიდრე არაბრალეული მოვალისადმი.¹²⁷

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზეც, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორი ყველანაირი სანაცვლო მოთხოვნის უფლების გარეშე რჩება არაბრალეული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში.¹²⁸

შესრულების შეუძლებლობა მოვალეს უფლებას ანიჭებს, უარი თქვას შესრულებაზე, ან ავტომატურად ათავისუფლებს მას ვალდებულების შესრულების მოვალეობისგან, თუმცა, მოვალე ყველანაირი ვალდებულებისაგან არ თავისუფლდება. კრედიტორს რჩება ისეთი მეორადი მოთხოვნის

¹²⁴ Musielak, Grundkurs BGB, 12 Auflage, 2011, 205

¹²⁵ Canaris, Claus-Wilhelm – “Die Behandlung nicht zu vertretender Leistungshinderisse nach §275 Abs. 2 beim Stückkauf” JZ 2004, 215,218

¹²⁶ Heinrichs – “Bürgerliches Gesetzbuch”, 2006, 338

¹²⁷ Schwarze, Roland, “Unmöglichkeit, Unvermögen und ähnliche Leistungshindernisse in neuen Leistungsstörungenrecht”, Jura 2002, 73, 77

¹²⁸ Hütte/Helborn/wenzel, “Schuldrecht; Allgemeiner Teil”, 2003, 157

უფლებების განხორციელება შესაძლებლობა, როგორცაა, შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ კრედიტორს ზიანი მიადგება ვალდებულების შეუსრულებლობით, მას შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს მოვალეს.¹²⁹ ამ დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირველადი შესრულების ადგილს იკავებს. აუცილებელი არის მოვალისათვის შესრულების დამატებითი ვადის დაწესება, რადგან ცნობილია, რომ ვადის დაწესებას შედეგი არ მოჰყვება.¹³⁰ ასევე ანაზღაურდება მიუღებელი მოგება და კრედიტორის მიერ შესრულების სხვა გზით მიღებისათვის გაღებული ზედმეტი ხარჯები.¹³¹

ზიანის ანაზღაურების ნაცვლად კრედიტორს შეუძლია მის მიერ უშედეგოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს. ამ ხარჯებს კრედიტორი გაიღებდა იმ შემთხვევაშიც, ვალდებულება რომ შესრულებულიყო. შესაბამისად, თუ კრედიტორი მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას ის პარალელურად ვერ მოითხოვს აღნიშნული ხარჯების ანაზღაურებასაც.¹³² ამ უფლების მინიჭებით, კრედიტორს გარანტირებული აქვს გაღებული დანახარჯების ანაზღაურების უფლება.¹³³

კრედიტორს შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს იმის გადაცემა, რაც მან მიიღო იმ გარემოების საფუძველზე რითიც მისთვის შესაძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ამ დროს მოვალის ბრალეულობის ფაქტს ვალდებულების შეუსრულებლობაში მნიშვნელობა არ ენიჭება, ის წარმოშობს ბრალეულობისგან დამოუკიდებელ სამართლებრივ შედეგს.¹³⁴

ორმხრივი ხელშეკრულებისას მოვალისა და კრედიტორის ვალდებულებები ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ თუ მოვალე გათავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, კრედიტორსაც აღარ დაეკისრება საპასუხო შესრულების ვალდებულება.¹³⁵ ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა ვალდებულება მოვალის ბრალით დაირღვა თუ არა, კრედიტორი მაინც გათავისუფლდება საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან.¹³⁶

¹²⁹ Musielak, Grundkurs BGB, 12 Auflage, 2011, 406

¹³⁰ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, 190

¹³¹ Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30. Aufl., München, 2004, 223

¹³² იქვე, გვ 228;

¹³³ Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003, 388;

¹³⁴ Schwarze, Roland, “Unmöglichkeit, Unvermögen und ähnliche Leistungshindernisse in neuen Leistungsstörungenrecht”, Jura 2002, 73, 83

¹³⁵ Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30. Aufl., München, 2004, 214

¹³⁶ Hütte, felix/Helborn, Marlena/wenzel, Henning – „schuldrecht; Allgemeiner Teil“, 1. Aufl., Grasberg bei Bremen, 2003, 160;

როგორც წესი, მოვალე არის საპასუხო შესრულების რისკის მატარებელი.¹³⁷ თუმცა, თუ კრედიტორ მიუძღვის ბრალი შესრულების შეუძლებლობაში ან გადააცილა შესრულების მიღების ვადას, მოვალეს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება უნარჩუნდება.¹³⁸ საწყისი შეუძლებლობისას კრედიტორს აქვს ზიანის ანაზღაურება ან გაწეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ზიანის ანაზღაურების ნაწილში საწყისი და შემდგომი შეუძლებლობისას სამართლებრივი შედეგი იდენტურია, ანუ ის ვრცელდება კრედიტორის ინტერესზე,¹³⁹ განსხვავება მხოლოდ ბრალის ნაწილშია, რაც განპირობებულია იმით, რომ ხელშეკრულების დადებამდე მოვალეს ძირითადად, ინფორმირების ვალდებულებები აკისრია, ხოლო შემდეგ მისი ვალდებულებები ხელშეკრულების საგნისკენ ხდება მიმართული.¹⁴⁰

3. ფორს მაჟორი

ობიექტური შესრულების შეუძლებლობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად შეიძლება მოვიანოთ ფორს მაჟორი, შემთხვევით დამდგარი შესრულების შეუძლებლობა.¹⁴¹ ფორსმაჟორის დროს მოვალის მიერ შეუძლებელია სათანადო მოქმედებების განხორციელება ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის, შესაბამისად ის წარმოადგენს დაუძლეველ ძალას.¹⁴² ფორსმაჟორული გარემოებით დამდგარი შეუძლებლობის ობიექტურად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია რომ შესრულება როგორც მოვალისთვის, ასევე მოვალის პირობებში მყოფი ნებისმიერი სხვა პირისათვის შეუძლებელი იყოს. ფორს-მაჟორის გამომწვევ ობიექტურ პირობებს წარმოადგენს ბუნების ფიზიკური კანონები, ადამიანის მიერ დღემდე დაგროვილი ტექნიკური ცოდნა და უნარი,¹⁴³ ასევე მოვალეს ყველა კანონიერი გზა უნდა ჰქონდეს მოჭრილი შესრულებისათვის, რადგან შემთხვევის ობიექტურ შეუძლებლობად კვალიფიკაცია მოხდეს. გერმანული სამართლის მიხედვით „ნამდვილი შეუძლებლობის“ ცნების ქვეშ ისეთი შემთხვევები

¹³⁷ იქვე;

¹³⁸ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §326 მე-2 ნაწილი;

¹³⁹ Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30.Aufl., München, 2004, 227

¹⁴⁰ იქვე, გვ 67

¹⁴¹ <http://hol.ge/publications-page.php?id=20&lang=1>

¹⁴² უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის, №ას-30-367-09, განჩინება

¹⁴³ შაკიაშვილი ბ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, 1997, გვ. 20.

მოიაზრება, რომელთა შესრულება თეორიულადაც გამორიცხულია.¹⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით ფორს-მაჟორის, ანუ დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, ფორს მაჟორული სიტუაცია წარმოიქმნება მხარეებისგან დამოუკიდებლად, და წარმოადგენს ისეთ ობიექტურ გარემოებას, როდესაც გამოირიცხება მოვალის ბრალი. დაუძლეველი ძალის შეფასებისას მნიშვნელოვანია თუ რამდენად იყო დაუძლეველი ძალის მიზეზების თავიდან აცილება შესაძლებელი კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში.¹⁴⁵ ასევე, ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, დაუძლეველი ძალა, ანუ ფორს მაჟორი გვხვდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვლენაზე სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს გავლენა არ აქვთ და მომხდარის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა ჩვეულებრივი ზრუნვის პირობებშიც.¹⁴⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის პირველ ნაწილში ნახსენები დაუძლეველი ძალა არ უნდა მოვიაზროთ ფორს მაჟორად ზემოთ აღწერილი მნიშვნელობით, რადგან ამ მუხლიდან გამომდინარე მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან და სწორედ ამიტომ დგება ხელშეკრულების მოშლის საჭიროება. იგივე შეგვიძლია ვთქვათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 662-ე და 666-ე მუხლის პირველ ნაწილზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლის მეორე ნაწილში, 779-ე და 831-ე მუხლებში მოწესრიგებული დაუძლეველი ძალა ყველაზე ახლოს დგას ფორს მაჟორთან, თუმცა ეს წესები არ არის განზოგადებაუნარიანი, შესაბამისად ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობისას ამ მუხლების საფუძველზე, ვერ განვიხილავთ ფორს მაჟორს, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. დელიქტურ სამართალში არსებული დაუძლეველ ძალას¹⁴⁷ განსახილველ საკითხთან მიმართებით არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფორს მაჟორის ინსტიტუტის გამოყენებით საერთოდ გაურკვეველი რჩება მოვალის საგარანტიო პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფიგურის ადგილი და მნიშვნელობა.

¹⁴⁴ მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი №2(37), 2013, გვ. 43.

¹⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის №ას-30- 367-09 23 გადაწყვეტილება

¹⁴⁶ VG Hannover, Urteil vom 9. Mai 2008, Az. 11 A 3024/06.

¹⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მეორე ნაწილი, მე-1000 მუხლის მესამე ნაწილი, 1004-ს მუხლის მეორე ნაწილი და ა. შ.

გარანტია, როგორც წესი პასუხისმგებლობის გამკაცრების მასშტაბს წარმოადგენს. თუმცა ფორს მაჟორის გამოყენებით მოვალე საერთოდ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, შესაბამისად აზრი ეკარგება მოვალის პასუხისმგებლობის გამკაცრებას, ვინაიდან მას ეხსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

ქართული და გერმანული მართლწესრიგი ერთმანეთისგან განასხვავებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა და შეცვლილ გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტებს. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა და არ დადებდნენ ან სხვა შინაარსით დადებდნენ აღნიშნულ ხელშეკრულებას ეს გარემოებები რომ გაეთვალისწინებინათ, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვილ იქნას ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.¹⁴⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების პირობების მკაცრად დაცვა.¹⁴⁹ შეცვლილი გარემოებების საწყისი, წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ფორსმაჟორი, ისე სხვა გარემოებები, რომელიც რეალურად ართულებს შესრულებას.¹⁵⁰

3.1 Force Majeure ფრანგულ სამართალში

ფორსმაჟორი არის ფრანგული წარმოშობის სიტყვა, შესაბამისად სწორედ „საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი განიხილავს, მას როგორც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ გამოვლინებას“.¹⁵¹ საფრანგეთში მოვალეს თითქმის საგარანტიო პასუხისმგებლობა ეკისრება ვალდებულების შესრულებისათვის. ფრანგული სამართლის მიხედვით მოვალეს ვალდებულების შესრულება ევალება მაშინაც, როცა ამას შეიძლება მოჰყვეს ფინანსურად კატასტროფული შედეგი, მას მხოლოდ ფორსმაჟორის შემთხვევაში ენიჭება უფლება ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმისა. ეს გადაწყვეტა თითქოს ჰგავს გერმანულს, თუმცა

¹⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი;

¹⁴⁹ An Introduction to a Comparative Law, Konrad Zweigert and Hein Kötz, translated by Tony Weir, Oxford, 1998;

¹⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 7 ივნისის №ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

¹⁵¹ ჩანტლაძე რ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(60), 2018, გვ. 45.

გერმანიაში შეუძლებლობა, თუნდაც ის კრედიტორის ბრალით იყოს გამოწვეული, ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, იგივე ხდება ნებისმიერი სხვა დარღვევის შემთხვევაშიც, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებლობისას მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, ხოლო ნებისმიერი სხვა დარღვევის შემთხვევაში ის ავტომატურად ვერ გათავისუფლდება ვალდებულებისგან. ამ დროს, როდესაც შესრულების შეუძლებლობას აქვს ადგილი კრედიტორს რჩება მხოლოდ მხოლოდ მეორადი მოთხოვნები, მაგალითად, როგორცაა ზიანის ანაზღაურება,¹⁵² ამისთვის აუცილებელია სახეზე გვქონდეს მოვალის ბრალი. ფრანგული სისტემიდან გამომდინარე, ვალდებულება ყოველთვის უნდა შესრულდეს და ის ყოველთვის არსებობს, მაგრამ ფრანგულ სამართალში არ არსებობს შეუძლებლის შესრულების ვალდებულება.¹⁵³ შეუძლებლობა წარმოადგენს შესრულების ობიექტურ ზღვარს. გერმანიაში არსებობს შეუძლებლის შესრულების ვალდებულება, მაგრამ მხარე კანონის სპეციალური დანაწესიდან გამომდინარე¹⁵⁴ თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან, ხოლო იმის გამო, რომ არსებობდა შესრულების ვალდებულება, მისი შეუსრულებლობა არის ვალდებულების დარღვევა. საფრანგეთში თავიდანვე არ არსებობს შეუძლებელი ვალდებულება ის არც წარმოიშვება და საერთოდ არც ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება. რადგან ზიანი შესრულების ადგილს იკავებს, ხოლო თუ არ არსებობს შესრულების ვალდებულება, მის ადგილს ვერც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაიკავებს.

3.2 ფორს მაჟორისა და ბრალის არარსებობის გამოჩვენა

ფორსმაჟორული გარემოება უნდა იყოს გარდაუვალი, გადაულახავი, მოულოდნელი და მოვალის სფეროს არ უნდა განეკუთვნებოდეს. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარე თავდამსხმელთათვის

¹⁵² გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 280-ე პარაგრაფის პირველი და მესამე ნაწილი, 283-ე პარაგრაფი

¹⁵³ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1147-ე მუხლი. მოვალე ვალდებულია, იმ შემთხვევებში როდესაც ეს აუცილებელია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც დადგა იმის გამო, რომ მან ვალდებულება არ შეასრულა ან დაავიანა ვალდებულების შესრულება, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არ მტკიცდება, რომ შეუსრულებლობა გამოწვეულ იყო გარეგანი მიზეზით (cause étrangère), რომლისათვისაც ის არ იყო პასუხისმგებელი და ადგილი არ ჰქონდა არაკეთილსინდისიერ ქცევას მისი მხრიდან.

¹⁵⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 275-ე პარაგრაფი.

მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობა სასტუმროს პერსონალის მხრიდან კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებას ფორს მაჟორულად არ აქცევს. უკვე დამდგარი გარემოებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობა, მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ფორსმაჟორულ მდგომარეობას, თუ მისი წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაშიც მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა.¹⁵⁵ ანუ საფრანგეთში ფორს მაჟორი და ბრალი გამორიცხავენ ერთმანეთს, ფორს მაჟორი არასდროს არ დადგება თუ სახეზე გვაქვს ბრალი, გერმანიაში კი მოვალის ან კრედიტორის ბრალით გამოწვეული შეუძლებლობა შეუძლებლობად ითვლება. თუმცა ფორს მაჟორისა და ბრალის არარსებობის გამიჯვნა რთულია ცალკეულ საკითხებთან მიმართებით. ხანძარი მოულოდნელ გარემოებას არ წარმოადგენს ბანკისათვის, ის ასეთი ვითარებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სეიფებამდე სათადარიგო მისასვლელით.¹⁵⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფორსმაჟორად იმ რისკის რეალიზება არ ჩაითვლება, რომელიც მოვალის სფეროდან მომდინარეობს, თუნდაც ამ რისკის აღმოჩენა შეუძლებელი ყოფილიყო.

4. შესრულების შეუძლებლობა და ფორს მაჟორი (ქართულ და უცხოურ სამართალში)

შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორის ცნებებზე წინა თავებში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ, მოცემულ საკითხზე არსებულ მწირ თეორიულ ნაშრომებში საკმაოდ ხშირად ვხვდებით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორის გვერდიგვერდ ხსენების ან საერთოდაც გაიგივების შემთხვევებს, რაც არ არის გამართლებული. სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ გაუმართავ მსჯელობას ავითარებს, ამ ორი ინსტიტუტის გამიჯვნისას, თუმცა აღნიშნულ ვითარებაში დამნაშავეა სამართლის მეცნიერება, რომელმაც ვერ მოახერხა ცალსახად განესხვავებინა ერთმანეთისგან შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორის სამართლებრივი კონტურები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ფორს მაჟორისა და შესრულების გართულების ლეგალური დეფინიციის ინსტიტუტებს არ იცნობს შესაბამისი საკანონმდებლო დასახელებით თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს

¹⁵⁵ Cass. civ. Ire, 9.03.1994 (Bull.civ. I.91).

¹⁵⁶ Cass. com., 11. 10. 2005 (Bull. civ. 2005, IV, Nr. 206, 222 sq.; JCP 2005, IV, 2078)

მსგავსი სამართლებრივი კონცეფციების, დაუძლეველი ძალის, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობისა და შეცვლილი გარემოებების სახელწოდებით რეგულირებას. გერმანულ სამართალშიც არ არსებობს ფორს მაჟორის სახელწოდების შესატყვისი იდენტური ცნება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიერ დადგენილი ზოგადი პრინციპის, მიხედვით ვალდებულების დარღვევისას მოვალეს ბრალეული შეუსრულებლობისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა, რისთვისაც სახეზე აუცილებლად უნდა გვქონდეს, გაუფრთხილებლობა მოვალის მიერ, თუ მკაცრი პასუხისმგებლობა არ არის შეთანხმებული ან არ გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან. შესაბამისად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სამართლებრივი კონსტრუქციიდან გამომდინარე, როცა მოვალეს ვალდებულების შესრულების პრაქტიკული შესაძლებლობა არ გააჩნია გამოირიცხება ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მას ასევე არ შეეარაცხება ვალდებულების დარღვევისადმი გაუფრთხილებლობაც კი. აღნიშნული წესი, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, შეესაბამება ფორს მაჟორის სამართლებრივ შედეგებს.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანული სამართალი არ იცნობს ფორსმაჟორის კონცეფციას, მაგრამ შესაძლებელია იდენტური სამართლებრივი შედეგის მიღწევა სხვა სახელწოდების ინსტიტუტის გამოყენებით. ანუ, ფორს მაჟორის სამართლებრივ შედეგებს აფუძნებს შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა, ოღონდ, გამოირიცხება შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹⁵⁷

კონტინენტური ევროპის მართლწესრიგებში არსებული ორი ძირითადი მოდელი, გერმანული მართლწესრიგის გადაწყვეტა და *force majeure* ფრანგულ სამართალში საინტერესოა ქართული სამართლისათვის.

ქართულ ზოგად ვალდებულებით სამართალში ფორს მაჟორი საერთოდ არ არის მოწესრიგებული. ასევე ვალდებულებითი სამართლის ამჟამინდელი რედაქციიდან გამორჩენილია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მოწესრიგებაც. ქართულ მართლწესრიგში ფორს მაჟორი არა მარტო ნორმატიული დასაყრდენის გარეშე გვხვდება, არამედ ქართულ სახელშეკრულებო სამართალში საერთოდ არ წარმოადგენს მოქმედ სამართლებრივ ინსტრუმენტს, ამ შემთხვევაში, ქართულ ვალდებულებით

¹⁵⁷ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი N2, 2011, გვ. 133

სამართალში, უნდა გამოვიყენოთ „შესრულების შეუძლებლობის“ კატეგორია. ის მოიცავს, მოვალის ბრალით და ასევე მისი ბრალის გარეშე დამდგარ შეუძლებლობას. აქედან გამომდინარე, არასისტემურად უნდა მივიჩნიოთ ერთ საფეხურზე როგორც შესრულების, ისე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლება. ამ მიდგომის თანახმად საერთოდ გამოუსადეგარი ხდება ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები.¹⁵⁸ ასევე გაურკვეველი რჩება რა ბედი ეწევა მეორადი უფლებების საკითხს, მაგალითად ხელშეკრულებიდან გასვლას, ფასის შემცირებას და ა. შ.¹⁵⁹ კრედიტორს ეს უფლებები უნდა ჰქონდეს ვალდებულების ბრალისგან დამოუკიდებლად დარღვევის შემთხვევაშიც. იგივე შეგვიძლია ვთქვათ საპირისპირო შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზეც.

აქედან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, არაბრალეული შეუძლებლობაც კი საკმარისია კრედიტორისათვის ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტების მინიჭებისათვის. ფორს მაჟორი კი მოვალეს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს.

4.1 შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორის გამიჯვნა სასამართლო პრაქტიკაში

სისტემაში, რომელშიც მოქმედებს ფორს მაჟორი ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი პრინციპულად განსხვავებულად უნდა იყოს დარეგულირებული,¹⁶⁰ არ უნდა ფარავდეს ერთმანეთს ამ ორი ინსტიტუტის მოწესრიგების სფერო და წინაპირობები. ფრანგული სამართალი ანგლოამერიკული სამართლის ოჯახების მსგავსად წინაპირობების დონეზე ახერხებს მათ გამიჯვნას.¹⁶¹ წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალისათვის შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ან გასვლის მოთხოვნას აზრი ეკარგება, თუ ის ვალდებულების შესრულებას ფორს მაჟორულ გარემოებებში არ ახორციელებს, არც ევალება შესრულება და

¹⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 404-ე მუხლები.

¹⁵⁹ იქვე 405-ე და 492-ე მუხლები.

¹⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი;

¹⁶¹ D. Maskow, Hardship and Force Majeure, The American Journal of Comparative Law (ASCL) 40/3 (1992), 663.

შესაბამისად ამისთვის არანაირი სანქცია არ დაეკისრება.¹⁶² ქართულ სამართალში ამგვარად არ არის, აღნიშნული გარემოების მომწესრიგებელი ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც სახეზეა შეუძლებლობა და ეს მოვალისათვის გადაულახავ ძალას წარმოადგენს, რაც სხვა არაფერია თუ არა ფორს მაჟორი, აქედან გამომდინარე წარმოიქმნება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა და ფორს მაჟორს შორის კოლიზია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სასამართლო რეალურად ფორს მაჟორის წინაპირობებს, გარდაუვალობა, მოულოდნელობა და გარეგანი ხასიათი, არ ამოწმებს. ის მხოლოდ თვითნებურად შექმნილი წინაპირობებით შემოიფარგლება, რაც კარგად ჩანს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში¹⁶³ რომლის მიხედვითაც, პირველი ინსტანციის სასამართლომ ომთან და სამშენებლო სექტორში არსებულ კრიზისთან დაკავშირებული ფორს მაჟორული გარემოება არ მიიჩნია მოპასუხისათვის ფულადი ვალდებულების შესრულების დაკისრების გამომრიცხავად. სასამართლოს თქმით, ფორს მაჟორულ გარემოებას არ წარმოადგენს სამშენებლო სექტორში არსებული კრიზისი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების ჯეროვნად შესრულების გამომრიცხავი წინაპირობები არ არსებობდა.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების განმარტებიდან გამომდინარე, ფორს მაჟორული გარემოება სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობაში ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს, თუ ფორს მაჟორულ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგაც შესაძლებელია ვალდებულების შესრულება და კრედიტორს კვლავ გააჩნია ინტერესი აღნიშნული შესრულების მიმართ. ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით შეიძლება წარმოადგენდეს სახელშეკრულებო სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი მეორადი ვალდებულების, ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლების წინაპირობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუძლეველი ძალის პირობებში, ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მოვალის დამატებითი ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე საომარი ვითარება მხოლოდ მისი არსებობის პერიოდში შეიძლება

¹⁶² D. Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., München 2011, Rn. 474; BT-Drucks. 14/6040, 130;

¹⁶³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განჩინება № 28/4450-10;

მიჩნეულ იქნეს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის საკატიო გარემოებად, რაც გამორიცხავს დამატებითი ვალდებულების წარმოშობას.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ სასამართლო ერიდება სხვა ინსტიტუტის წინაპირობებში შექრას,¹⁶⁴ ამის გარეშე კი შეუძლებელია ფორს მაჟორის სამართლებრივი ჩონჩხის კონსტრუირება, რომელიც უცხო სხეულს წარმოადგენს ქართულ სამართალში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარი ხდება კრედიტორის მეორად მოთხოვნათა სისტემის ფუნქციონირების საკითხი, ფორს მაჟორის სამართლებრივი ფიგურის აღიარების შემთხვევაში. სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ფორს მაჟორი მხოლოდ მეორადი მოთხოვნებისაგან ათავისუფლებს მოვალეს, და ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს, ესეც არ უნდა მივიჩნიოთ სწორად. მოვალეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან უფრო ბრალის არარსებობა¹⁶⁵ ათავისუფლებს, ვიდრე ფორს მაჟორი, ხოლო კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირებისა, თუ საპირისპირო მოთხოვნის გაქარწყლებისაგან¹⁶⁶ ფორს მაჟორული გარემოებაც ვერ ათავისუფლებს მოვალეს. გერმანულის მსგავსად ქართული სამართალიც, არ იცნობს ვალდებულება არ შესრულების შემთხვევას და ეს არც მისი დარღვევას წარმოადგენს.¹⁶⁷

ქართული ვალდებულების დარღვევის სამართალი ემყარება პრინციპს, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს, თუ ის არ სრულდება ეს ნებისმიერ შემთხვევაში მის დარღვევას წარმოადგენს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გარემოებაც არ მიუთითებს იმაზე რომ მოვალეს ნებისმიერ შემთხვევაში დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. იმისათვის, რომ მოვალეს ზიანის ანაზღაურება მოვთხოვოთ, საჭიროა სახეზე გვქონდეს ბრალი, თუმცა კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლისთვის ბრალი არ არის აუცილებელი. ფორს მაჟორული გარემოების არსებობის შემთხვევაში ეს სისტემა სრულიად თავდაყირა დგება, როგორც ვალდებულების დარღვევის ობიექტური

¹⁶⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის № ას-181-181-2018 განჩინება; 2018 წლის 24 იანვრის № ას-931-871-2017 გადაწყვეტილება; 2018 წლის 9 მარტის № ას-1555-1475-2017 განჩინება.

¹⁶⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი;

¹⁶⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 406-ე მუხლის პირველი ნაწილი;

¹⁶⁷ M. Stürner, Faktische Unmöglichkeit (§ 275 II BGB) und Störung der Geschäftsgrundlage (§ 313 BGB) – unmöglich abzugrenzen? Juristische Ausbildung (JURA) 2010, 721

ზღვარი, როდესაც მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს და არც ეკისრება შესრულება ყოველგვარი გასვლისა და მისადაგების გარეშე.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს მსჯელობა ფუნდამენტურ დოგმასთანაც მოდის წინააღმდეგობაში, რომ სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობაში ფორს მაჟორული გარემოება ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს, თუ ვალდებულების შესრულება ფორს მაჟორულ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგაც არის შესაძლებელია და თუ კრედიტორს შესრულების მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ფორსმაჟორული გარემოება აღმოუფხვრადია, მოვალე უნდა გათავისუფლდეს შესრულების ვალდებულებისაგან. აღნიშნული მსჯელობის გაუმართაობა არ უნდა დავაბრალოთ სასამართლოს, ვინაიდან მოსამართლის კომპეტენციას არ წარმოადგენს ფუნდამენტური დოგმების შექმნა, ეს უპირველესად კანონდებლისა და სამართლის მეცნიერების საქმეა, რომელიც დოგმატური აღრეულობის გარდა, ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, არაფერს გვთავაზობს. აღსანიშნავია, რომ ამ აღრეულობის ფონზე სასამართლო მაინც ახერხებს დამაკმაყოფილებელ შედეგამდე მისვლას, თუმცა ვეღარ ხერხდება დასაბუთების გამართვა.

ეს დასაბუთება, კონკრეტული ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მიუღებელი იყოს, იმის გათვალისწინებით, მაგალითად, შემკვეთის საზღაურის გადახდის ვალდებულებას. არასოდეს არ შეიძლება გახდეს შეუძლებელი ფულადი ვალდებულება, „მოვალეს ფული უნდა ჰქონდეს“¹⁶⁸. კერძო ავტონომიის დაუწერელი პრინციპს წარმოადგენს, რომ მოვალე თავის ფინანსურ შესაძლებლობაზე ყოველთვის აგებს პასუხს.¹⁶⁹ აქედან გამომდინარე, ფულადი პასუხისმგებლობა შეუზღუდავის, ის აგრძელებს არსებობას, მოვალის მიერ მისი შესრულების შესაძლებლობისგან ან შეუძლებლობის მიზეზებისგან დამოუკიდებლად.¹⁷⁰ ფულადი ვალდებულების დროს პირველადი მოთხოვნიდან, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებაზე გადასვლა არ ხდება.

¹⁶⁸ K. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Bd. I, Allg. Teil, 14. Aufl., München 1987, § 12 III 168;

¹⁶⁹ H. Honsell, Vier Rechtsfragen des Geldes, Festschrift für Claus-Wilhelm Canaris zum 70. Geburtstag (2007), Bd. I, 464

¹⁷⁰ D. Medicus, „Geld muß man haben“: Unvermögen und Schuldnerverzug bei Geldmangel, AcP 188 (1988), 492

ფულადი ანაზღაურება წარმოადგენს იმ უნივერსალურ მოთხოვნას, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს შესაძლებელი.¹⁷¹ სამოქალაქო პასუხისმგებლობის მთელი სისტემა ამ წანამძღვარს ეფუძნება. ამიტომაც ვერც ფორს მაჟორისა და ვერც შეუძლებლობის გამო ფულის არქონა მოვალეს ვერ გაათავისუფლებს ფულადი ვალდებულებისაგან, ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს მხრიდან მსჯელობა, ხომ არ შეიძლება ფულის არქონამ მოვალე გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან, არის ზემოთ მოყვანილი, სამოქალაქო სამართლის ელემენტარული პრინციპების უარყოფა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართალში გათვალისწინებულია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. ამ დროს, პირი, კანონმდებლობის მიხედვით არ მიიჩნევა ვალდებულების დამრღვევად და თავისუფლდება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.¹⁷² აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ სასამართლო არ მიიჩნევს ვალდებულების დარღვევად ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას, ასეთ შემთხვევაში ის საერთოდ ათავისუფლებს მოვალეს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. ეს მტკიცება დაუსაბუთებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც, მუხლი რომელიც დასაბუთებაშია გამოყენებული¹⁷³ ქართულ სამართალში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ნორმად ვერ იქნება გამოყენებული რადგან ის ზიანის ანაზღაურების საკითხს ეხება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული სასამართლო პრაქტიკის მსგავსად, აქაც სრულიად გათავისუფლებულია მოვალე, ყველანაირი მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისაგან და ამასთან აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან გამომდინარე, კრედიტორს არც მეორადი მოთხოვნის დაყენების საშუალება არ ეძლევა. აღნიშნული უნდა მივიჩნიოთ, კრედიტორის ინტერესების გაუმართლებელ ხელყოფად რაც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ობიექტურად უნდა იქნეს გაგებული ვალდებულების დარღვევის ცნება, თუმცა ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა შესრულების შეუძლებლობით გამოწვეულ შეუსრულებლობას მანამდე, ვიდრე მოვალე არ დაამტკიცებს, თავის არაბრალებლობას შეუძლებლობის მიზეზების გამოწვევაში ან არ შეეძლო

¹⁷¹ იქვე. გვ. 491

¹⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის №ას-953-1232-09 გადაწყვეტილება;

¹⁷³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394- მუხლი

თავიდან აეცილებინა მისი გამომწვევი მიზეზები.¹⁷⁴ ასევე არსებობს მოსაზრებაც, რომ ისეთი გარემოების არსებობის დროს შეიძლება ჰქონდეს ადგილი ფაქტობრივ შეუძლებლობას, როდესაც არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს.¹⁷⁵ ამ მოსაზრებების თანახმად, უგულებელყოფილია შესრულების შეუძლებლობის ობიექტურ კატეგორიად მიჩნევის ფაქტი, ანუ როდესაც მოვალის მიერ შესრულების შეუძლებლობის გამომწვევ მიზეზებს მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. მაგრამ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუ ნაკლიან შესრულებას მივიჩნევთ ვალდებულების დარღვევად, მით უფრო იმსახურებს ვალდებულების შეუსრულებლობის ინსტიტუტი ადგილს იკავებდეს ვალდებულების დარღვევაში. შესაბამისად, მოვალის ბრალით შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების გამოწვევის დროსაც შესრულების შეუძლებლობა და აქედან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევა გვექნება სახეზე.

უცხოურ სასამართლო პრაქტიკაზეც რომ ვისაუბროთ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე ანუ 1900 წლამდე საფრანგეთის მსგავსად აქაც, ბრალისაგან დამოუკიდებელი ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება ეკისრებოდა მოვალეს. ხოლო ვალდებულების ზღვარს შემთხვევითი შეუძლებლობა წარმოადგენდა. ხელშეკრულების ყველა სხვა დარღვევისათვის ბრალეულობის პრინციპზე აგებული პასუხისმგებლობა გამოიყენებოდა. თუმცა მე-19 საუკუნის ბოლოს მიდგომები შეიცვალა და შეუძლებლობა აღიარეს არამედ ვალდებულების დარღვევად. ამ საკითხთან მიმართებით ფრანგული და გერმანული სამართლის გზები გაიყო. საფრანგეთში დარჩა ძველი მიდგომა, რომლის მიხედვითაც ბრალს ყურადღება არ ექცევა და მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებითაა შესაძლებელი ფორსმაჟორის განსაზღვრა. გერმანიაში კი პასუხისმგებლობა გახდა ბრალზე დამოკიდებული, რომლის ფორმებიც იყო განზრახვა და გაუფრთხილებლობა. მაგრამ ზიანის ანაზღაურების მთავარ წინაპირობად სუბიექტური ბრალის აღიარებასთან ერთად, ბრალის ობიექტივიზირება მოხდა. პირის ინდივიდუალური განჭვრეტის უნარი და წინდახედულობის გამოჩენის შესაძლებლობა გაუფრთხილებლობისას აღარ მიიჩნეოდა წინდახედულობის მასშტაბად, არამედ მასშტაბად მიჩნეული იქნა სამოქალაქო ბრუნვის საშუალო სტატისტიკური წარმომადგენლის განჭვრეტის უნარი.

¹⁷⁴ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010 წ., გვ. 38

¹⁷⁵ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ., გვ. 39

5. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული კანონმდებლობით დადგენილია ვალდებულებისა შესრულების დეფინიცია, თუმცა მასში არ გვხვდება ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის ცნება. გერმანული მოწესრიგებისგან განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მარეგულირებელი ნორმები ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, რაც სასამართლოს მიერ მათი ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას განაპირობებს. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სპეციალურ რეგულირებას არ ითვალისწინებს, ეს სამართალურთიერთობა არ რჩება მოწესრიგების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, მოვალის პირველადი შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი, განსაკუთრებით კი მისი „გ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული ნორმა კრედიტორს დამატებითი შესრულების მოთხოვნის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას აძლევს. კრედიტორის მხრიდან მოვალის გაფრთხილებას წარმოადგენს პირველადი შესრულების მოთხოვნა, ის მოვალისგან ითხოვს, შეასრულოს ვალდებულება ან შესრულებისათვის ვადას უწყესებს. თუ კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილებისა და მისთვის ვადის დაწესების აუცილებლობა გამოირიცხება, მოვალე ფაქტობრივად პირველადი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან გათავისუფლებული აღმოჩნდება.

ქართული სამართალი, მოვალეს შესაძლებლობას აძლევს თავი დაიცვას არათანაზომიერი პასუხისმგებლობისაგან შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობის დადგომისას, აღნიშნული გამოიხატება არაბრალეული ვადის გადაცილებით, გარიგების ბათილობით ან შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისაგან თავის დაცვის სამართლებრივი საფუძველებით. კანონმდებლობა კრედიტორს აძლევს ხელშეკრულების მოშლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ინტერესთა თანაზომიერად დაცვის პრინციპიდან გამომდინარე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არ არის მოწესრიგებული ფაქტობრივი შეუძლებლობის

შემთხვევები, რაც საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი. შესრულების შეუძლებლობის, სამოქალაქო კოდექსში არსებული ქაოტური მოწესრიგება მხარეს საშუალებას აძლევს იდავოს სასამართლოს გზით, თუმცა აღნიშნული საკითხის წინაპირობები ბუნდოვანი რჩება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამართალში, გაურკვეველია თუ რით განსხვავდება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებისაგან. მოსამართლეს ფართო დისკრეცია ეძლევა აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისას, ამიტომაც, ეს გარემოება, უნდა მივიჩნიოთ საკანონმდებლო ხარვეზად, რაც ძირითადი ცნებების მიმართ ლეგალური დეფინიციების არარსებობას იწვევს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ასევე დარეგულირებულია ვალდებულების შეუძლებლობისას საპასუხო შესრულების საკითხი¹⁷⁶. თუ კრედიტორს ბრალი მიუძღვის შესრულების შეუძლებლობაში მოვალეს უნარჩუნდება საპასუხო შესრულების მიღების უფლება, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ კრედიტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა შესრულების მიღების დაყოვნებას და ამ დროს წარმოიშვა შეუძლებლობა.

რაც შეეხება კრედიტორის უფლებებს, ვალდებულების დარღვევად უნდა მივიჩნიოთ შესრულების შეუძლებლობით გამოწვეული ვალდებულების შეუსრულებლობაც, კრედიტორს კი წარმოეშობა ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, თუ სახეზე გვაქვს შესაბამისი წინაპირობები.

აქედან გამომდინარე, არსებული კანონმდებლობა პრაქტიკის ერთიანი მიმართულებით ჩამოყალიბების საშუალებას არ იძლევა. ამდენად, მიზანშეწონილია, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის განმსაზღვრელი ნორმები მოწესრიგდეს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის კარში.

რაც შეეხება ფორს მაჟორს, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობით ის არ არის მოწესრიგებული, ფორს მაჟორთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსი, მხოლოდ ზედაპირულ ნორმებს შეიცავს. აღნიშნული ინსტიტუტი ყველაზე კარგად ფრანგულ სამართალშია მოწესრიგებული, საფრანგეთში მოვალეს ვალდებულების შესრულება ევალება მაშინაც, როცა ამას შეიძლება მოჰყვეს ფინანსურად კატასტროფული შედეგი, მას მხოლოდ ფორს მაჟორის შემთხვევაში ენიჭება უფლება ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმისა. ფრანგული სისტემიდან გამომდინარე, ვალდებულება ყოველთვის

¹⁷⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 406-ე მუხლი

უნდა შესრულდეს და ის ყოველთვის არსებობს, მაგრამ ფრანგული სამართალი არ ავალდებულებს მოვალეს შეასრულოს შეუძლებელი ვალდებულება, აქედან გამომდინარე, შეუძლებლობა არის შესრულების ობიექტური ზღვარი. საფრანგეთში თავიდანვე არ არსებობს შეუძლებელი ვალდებულება ის არც წარმოიშვება და საერთოდ არც ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება. რადგან ზიანი შესრულების ადგილს იკავებს, ხოლო თუ არ არსებობს შესრულების ვალდებულება, მის ადგილს ვერც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაიკავებს.

ფრანგული სამართლის მიხედვით, ფორს მაჟორული გარემოება უნდა იყოს გარდაუვალი, გადაულახავი, მოულოდნელი და არ უნდა განეკუთვნებოდეს მოვალის სფეროს. საფრანგეთში ფორს მაჟორი და ბრალი გამორიცხავენ ერთმანეთს, ფორს მაჟორი არასდროს არ დადგება თუ სახეზე გვაქვს ბრალი, გერმანიაში კი მოვალის ან კრედიტორის ბრალით გამოწვეული შეუძლებლობა შეუძლებლობად ითვლება. თუმცა ფორს მაჟორისა და ბრალის არარსებობის გამიჯვნა რთულია ცალკეულ საკითხებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფორსმაჟორად იმ რისკის რეალიზება არ ჩაითვლება, რომელიც მოვალის სფეროდან მომდინარეობს, თუნდაც ამ რისკის აღმოჩენა შეუძლებელი ყოფილიყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, იმის მტკიცება, რომ საქმის განმხილველი მოსამართლეები არ იცნობენ ან არ აღიარებენ წინამდებარე ნაშრომში ნახსენებ ფუნდამენტურ დოგმებს, მაგრამ სამართალწარმოების პრობლემაა, რომ შესრულების შეუძლებლობიდან ფორს მაჟორისკენ პერსპექტივის წანაცვლება საბოლოო ჯამში იწვევს ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთში აღრევას. იმის, გათვალისწინებით, რომ წინაპირობების შემოწმება უნდა მოხდეს ცალკე მოვალის ბრალისა და ცალკე შეუძლებლობის გათვალისწინებით, ქართული სამართლიდან გამომდინარე ხდება მათი ერთიანად შემოწმება, რის გამოც სასამართლოს მიერ აღრეული ამ ორი საკითხის ერთმანეთისგან გამორკვევა სამოქალაქო კოდექსში არსებული ნორმების საფუძველზე ვეღარ ხერხდება.

ფორს მაჟორი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებაა, შესრულების შეუძლებლობა კი მხოლოდ პირველად მოთხოვნას გამორიცხავს, მაგრამ ამის მიღმა პასუხისმგებლობის საკითხს არ წყვეტს, რადგანაც აღნიშნული პასუხისმგებლობის გამორიცხვისათვის აუცილებელია ბრალის არარსებობა, თუმცა გასვლა მოვალის ბრალის გარეშე შესაძლებელია. სწორედ ეს გარემოება, როდესაც შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებაზე მსჯელობის

გარეშე, პირდაპირ, ზოგადად პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე იწყება საუბარი, განაპირობებს იმ შეცდომებს, რაც მთელ რიგ სასამართლო გადაწყვეტილებებში გვხვდება. სასამართლოს რომ მოეხერხებინა ამ ორი საფეხური ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მალევე დაინახავდა, რომ ფორს მაჟორი სრულებით უცხო სხეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებულ ვალდებულების დარღვევის სამართლისთვის და მასზე აპელირება არა მხოლოდ ასისტემური და არასწორი, არამედ უბრალოდ აბსურდული შედეგების მომტანია.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

- თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ.;
- ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“ 1999წ.;
- ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., შატბერაშვილი ლ., საქართველოს სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2005 წ.;
- ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014წ.;
- საყვარელიძე კ., „ვალდებულება, როგორც ნების გამოვლენა ხელმეკრულებებში“ სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“, 2013 წ.;
- ჩიტომშვილი თ., „დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები“, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №1 საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2008 წ.;
- ჩიკვაშვილი შ., დელიქტური ვალდებულებანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტ. 2, 2001 წ.;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001წ.;
- ჭეჭელაშვილი ზ. სახელმეკრულებო სამართალი, მეორე გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010წ.;
- ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004 წ.;
- სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001 წ.;
- კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წ.;
- ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი 2011 წ.;
- კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანია და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014წ.;
- ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010 წ.;
- ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის

- შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი №2, თბილისი 2011 წ.;
- შაკიაშვილი ბ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, 1997 წ.;
 - მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამართალში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი №2(37), 2013 წ.;
 - ჩანტლაძე რ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(60), 2018 წ.;
 - Gernhuber, das Schuldverhältnis, Begründung und Änderung Pflichten und Strukturen Drittwirkungen, 1989;
 - Zimmermann, The Law of Obligations: Roman Foundation of Civilian Tradition, 1996
 - Von Bar/swann, Principles of European Law, 2010;
 - Kötz/Flessner, Europäisches Vertragsrecht, 1996;
 - Contract Law in hellas by Michael P. Stathopoulos, Kluwer Law International, The Hague-London Boston, Sakkoulas, Athens. 1995;
 - Сербаш, Исполнение Договорного Обязательства, 2005;
 - Сергеев/Толстой, Гражданское Право, 2006;
 - Larenz, Lehrbuch des Schuldrecht, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, 1987;
 - Fontaine, Content and Performance, Te American Journal of Comarative Law, 1992;
 - Müko/krüger, BGB, 6, Aufl., 2012;
 - Musielak, Grundkurs BGB, 12 Auflage, 2011;
 - Eisenberg M. A., Impossibility, Impracticability and Frustration, Cambridge, 2009;
 - Hütte, felix/Helborn, Marlena/wenzel, Henning – „schuldrecht; Allgemeiner Teil“, 1. Aufl., Grasberg bei Bremen, 2003;
 - Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich – Allgemeines Schuldrecht, 30.Aufl., München, 2004;
 - Picher, Eduard – „Schuldrechtsreform und Privatautonomie“, JZ 2003;
 - CANARIS, FS Lorenz, 147, MEDICUS, Schuldrecht I;
 - Winiger, Koziol, Koch, Zimmermann, Digest of European Tort Law, 2nd Volume, Essential Cases on Damage, 2011;
 - Medicus – Schuldrecht I (Allgemeiner Teil), 2003;
 - Krajewski, M., New German Law of Obligations, The European Business Law Review, Vol. 14, Issue 2, 2003;
 - Barrigan Marcantonio J., Unifying the Law of Impossibility, Georgetown, 1948-85;

- Markesinis B, Unberath H, Johnson A., The German Law of Contracts, Oxford, 2006;
- Picker, Eduard, “Schuldrechtsreform und Privatautonomie”, JZ 2003;
- VG Hannover, Urteil vom 9. Mai 2008, Az. 11 A 3024/06;
- An Introduction to a Comparative Law, Konrad Zweigert and Hein Kötz, translated by Tony Weir, Oxford, 1998;
- Wieser, Eberhard, “eine Revolution des Schuldrechts”, NJW 2001;
- Lorenz, Stephan, “Grundwissen – Zivilrecht: Was ist eine Pflichtverletzung (§280 I BGB)”, JuS 2007;
- Heinrichs – “Bürgerliches Gesetzbuch”, 2006;
- Schwarze, Roland, “Ünmöglichkeit, Unvermögen und ähnliche Leistungshindernisse in neuen Leistungsstörungenrecht”, Jura 2002;
- D. Maskow, Hardship and Force Majeure, The American Journal of Comparative Law (ASCL) 40/3 (1992);
- D. Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., München 2011, Rn. 474; BT-Drucks. 14/6040;
- M. Stürner, Faktische Unmöglichkeit (§ 275 II BGB) und Störung der Geschäftsgrundlage (§ 313 BGB) – unmöglich abzugrenzen? Juristische Ausbildung (JURA) 2010;
- H. Honsell, Vier Rechtsfragen des Geldes, Festschrift für Claus-Wilhelm Canaris zum 70. Geburtstag (2007);

სასამართლო გადაწყვეტილებები:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №-ას-507-481-2011;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №-ას-1541-1547-2011;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (№28/3112-14);
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება (28/3559-1128);

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-7-6-2010, 7 ივნისი, 2010;
- უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის, №ას-30-367-09, განჩინება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 ოქტომბრის №ას-545-513-2012 გადაწყვეტილება;
- თბილისის სააკველაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განჩინება № 28/4450-10;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის № ას-181-181-2018 განჩინება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის № ას-931-871-2017 გადაწყვეტილება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 9 მარტის № ას-1555-1475-2017 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის №ას-953-1232-09 გადაწყვეტილება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის №ას-30-367-09 23 გადაწყვეტილება;
- Cass. civ. Ire, 9.03.1994 (Bull.civ. I.91);
- Cass. com., 11. 10. 2005 (Bull. civ. 2005, IV, Nr. 206, 222 sq.; JCP 2005, IV, 2078).

ინტერნეტ წყაროები:

- <http://www.gccc.ge/wpcontent/uploads/2016/10/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98.pdf>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=101>
- <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2017/02/Artikel-390.pdf>
- <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>
- <http://hol.ge/publications-page.php?id=20&lang=1>